ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 რედაქცია და კანტორა ღია ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეშვიდე. | სამშაბათი, იანვრის 4. 1921 | № 2

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი ჭურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

სეზონი 1920—1921 წლისა **სახელმწიფო დრამის თეატრი** სეზონი 1920—1921 წლისა

სადღესასწაულო რეპერტუარი

დილით

შაბათს იანვრის 8-ს
მეშვიდედ
გუშინდელნი

ბავშვებისათვის
შაბათს, იანვრის 15-ს
კოტეს დანაშაული ნ. ნაკაშიძისა

დასაწყისი დილის წარმოდგენების დილის 12 საათზე

მესამედ სამშაბათს, იანვრის 4-ს
ანტიგონე
მეოთხედ შაბათს, იანვრის 8
ალლუმი
მეორედ
მეოთხედ კვირას იანვრის 9-ს
მსხვერპლი

ბილეთები კასაში.

საღამოს

სამშაბათს იანვრის 11-ს მეხუთედ **ალლუმი**
ხუთშაბათს, იანვრის 13-ს მეექვსედ **ბერდო-ზმანია**
პირველად შაბათს იანვრის 15-ს
მარიამ მაგდალინელი
ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიზანსცენებით
კვირას, იანვრის 16 ს მეექვსედ **ალლუმი**

დასაწყისი საღამოს წარმოდგენებისა საღამოს 8 საათზე.

დილა **სახელმწიფო ოპერა** საღამო

კვირას
2 იანვარს **კეთო და კოტე**
ორშაბათს
3 იანვარს ,, ,,
სამშაბათს
4 იანვარს **ევგენი ონეგინი**
ოთხშაბათს
5 იანვარს ,, ,,
შაბათს
8 იანვარს **კოპელია**
და ხორეოგრაფიის ეტიუდი
კვირას
9 იანვარს **ფაუსტი და ვალპურგიის ღამე**

ლალატი
მე-20 კონცერტი ბოროვსკისა და ბელოუსოვისა
გოფმანის ზღაპარი
აბესალომ და ეთერი
მუშებისათვის ოპერა
ტოსკა
ჟიზელი და ხორეოგრაფიის ეტიუდი.

დასაწყისი დილის 12 საათ. საღამოს 8 საათზე

არა-სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებული

კონფერენცია

1. კონფერენციას იწვევს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული და რადიკალ დემოკრატიული პარტიები.

2. კონფერენცია გაიმართება საქართველოს დედა-ქალაქში თბილისში 1921 წლის იანვრის 23-ს, და გაგრძელდება 3 დღე.

3. კონფერენციაზე გამოსაგზავნი დელეგატები აირჩევიან ადგილობრივ არა-სოციალისტურ პარტიათა ორგანიზაციების წევრთა შეერთებულ კრებაზედ, პიროვნულად.

4. თითეული დელეგატი აირჩევა ორას პარტიულ წევრზე, ხოლო არა უმეტეს 1 დელეგატისა არა სოციალისტური პარტიების მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ყოველ სამას ხმაზე.

5. ამ კონფერენციის მიხედვით, თანახმად მთავარი კომიტეტების ცნობებისა, საერთო რიცხვი დელეგატებისა ნავარაუდევია 160 კაცი, გარდა მთავარი კომიტეტების წევრებისა

6. კონფერენციის წევრთა არჩევნებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სამაზრო ან სარაიონო კომიტეტები, თანახმად ამავე ინსტრუქციის მე-4 მუხლისა

7. დელეგატების არჩევნების შესახებ მთელს რაიონში სდგება სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ იმ რაიონში არსებული არა სოციალისტური დემოკრატიული ორგანიზაციები.

8. ყოველი დელეგატი უზრუნველყოფილი იქნება ბინით.

9. კონფერენციის მოწვევის საქმეს ხელმძღვანელობს ცენტრალური საკონფერენციო კომისია, რომელიც შედგენილია ზემოხსენებულ პარტიათა ხელმძღვანელ ორგანოთა წარმომადგენელთაგან.

მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის ბიურო.

კონფერენციის წესრიგი.

1.

განცხადება ცენტრალური საკონფერენციო კომისიისა პარტიათა გაერთიანების შესახებ და ამ განცხადების განმარტებანი პარტიათა წარმომადგენლების მიერ

2.

მოხსენებანი მომენტის შესახებ: 1) საშინაო მდგომარეობა, 2) საგარეო მდგომარეობა და 3. ეკონომიური მდგომარეობა.

3.

1. პროგრამა და წესდება, 2. საარჩევნო მუშაობა; 3. არჩევნები მთავარი კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

საკონფერენციო კომისია.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

საყოველთაოთ აცხადებს, რომ თვით კომიტეტი 6 იანვრიდან შემოწირულებათა აკრეფას სწყვეტს, ამიტომ მისი სახელით არავის არა აქვს უფლება აწარმოვოს ეს საქმე. ვისაც თვით სურს შემოწირულებათა შემოტანა—გადმოგზავნის, მოგვაწოდებს კომიტეტის ადრესით სასახლეში.

კომიტეტის მიერ გაცემულ ყველა წიგნაკები უნდა დაუბრუნდეს კომიტეტს ანგარიშითურთ.

პროვინციის ყველა კუთხე ვალდებულია დაუყონებლივ გადმოგზავნოს შეგროვებული ნივთები, საჩუქრები ფრონტისათვის ანგარიშებითურთ ფრონტზე გადასაგზავნათ.

მისამართი: თბილისი, სასახლე ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.

განცხადება

მაქვს პატივი ამით ვაუწყო ერობათა, კოოპერატივთა, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, რომ ჩემს მიერ გახსნილი იქნა ამა 1921 წლის პირველ იანვრიდან

სავაჭრო, სააგენტო-საკომისიო კანტორა ა. ს. ლორთქიფანიძისა,

რომელიც მოთავსებულია დამფუძნებელ კრების ქ. № 5, მეორე სართულში, თბილისის კოოპერატივთა კავშირის გვერდზე.

მიღებულია შემდეგი საქონელი:

შაბიამანი ინგლისური საუკეთესო ხარისხისა;
ნიშადური (ნაშატირი) ,, ,,
ხერხები—ზირდაბირები გერმანული მარკისა;
კოჟის ძაფები;
ასანთი საუკეთესო ხარისხისა;
ხელის საპონები ოდესისა;
საკოსტუმო შალი და სხვა.

ფასები ყველა საქონელზე დანიშნულია მინიმუმი.

კანტორა ღია არის დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 ნახევარ საათამდე.

პატივისცემით ალ. ს. ლორთქიფანიძე.

3—3340—1.

გამოვიდა და იყიდება
აკაკი პაპავას
მოთხრობათა კრებული
სოლეილ დორ
წიგნი პირველი
გამოცემა ,,სახელოვნო ცენტრი''-სა ფასი 300 მანეთი.

მუქარის ავტორებს.

წინა თვეებში თუ მცირეოდენად მაინც შესაძლებელი იყო სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დამყარება აზერბაიჯანთან და სომხეთთან, ეხლა—ამ მეზობელ ,,სახელმწიფოების'' გაბოლშევიკების შემდეგ—სრულებით მოგვესპო საშუალება ამისათვის. მეტიც: ეს ორი ,,წითელი'' მეზობელი თავის ,,მაღალ მფარველ'' ბოლშევიკურ რუსეთისამებრ ყოველ დღიურ გამოსვლებით არღვევს საერთაშორისო უფლების ელემენტარულ ნორმებს, ებრძვის თანამედროვე კულტურის ყოველ გამოსახულობას და სამაგიეროდ, თავის საშინაო და საგარეო ,,საქმიანობაში'' ეყრდნობა ბარბაროსულ მეთოდებს, თავის ,,სახელმწიფოებრივ პოლიტიკას' აწარმოებს ველურ ინსტინქტების გაღიზიანებით[გამხეცებულ ადამიანების თარეშით...

გასული წლის უკანასკნელ დღეებში გაზეთებში გამოქვეყნდა ორი ,,ნოტა'' ერთი აზერბაიჯანისა, მეორე სომხეთისა. ორივე ნოტა ეხება საქართველოს, ორივ საქართველოს სახელზეა დაწერილი, ორივე თანაბრად აშკარა ტყუილზე და შარზეა აგებული; შესაძლებელია, ერთი ,,ავტორის'' ნაწარმოებიც იყოს ეს ორი ,,დიპლომატიური'' წერილი.

აზერბაიჯანი ,,სასტიკ პროტესტს'' გვიცხადებს იმის გამო, რომ საქართველოს მთავრობამ ფიზიკური საშუალება მოუსპო საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო მუშაობისა იმ ბოლშევიკ აგიტატორებს რომელნიც თვალთმაქცურად ამოეფარებოდნენ კომუნისტურ ,ექსტერიტორიულ, მისიის კედლებს. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა კომისარი წინადადებას გვაძლევს დაუყონებლივ გავანთავისუფლოთ ბოლშევიკურ მისიაზე მიწერილი ქართველი და ებრაელი პროპაგანდისტები, რომელთა მუშაობა საქართველოს წინააღმდეგ დოკუმენტალურად დამტკიცებულია... ამ ,,მომაკვდინებელ'' ცოდვაში ბრალს გვდებს ის აზერბაიჯანი, რომელმაც მრავალი ქართველის სისხლით შეღება თავისი ,,ახალი დროშა'', რომელის მტაცებლობა და ქურდობა შემოწმებულია ზაქათლისა და საქართველოს მარარებელთა მაგალითებით, რომლის უპირობა თვალსაჩინოდ გვაჩვენა ნავთის ეპოპეიამ.

ასეთი სახის აზერბაიჯანი მუქარით გვითვლის, რომ მისი მოთხოვნილების აუსრულებლობა ჩვენთვის სამწუხარო შედეგით დამთავრდება!...

მეორე ,,გაწითლებული'' მეზობელი ,,სახელმწიფო'' მოითხოვს საქართველოსაგან დაუყონებლივ დაცლას ბორჩალოს მაზრის იმ ნაწილისას, რომელიც უხსოვარ დროიდანვე ჩვენი სამშობლოს უდავო ნაწილს შეადგენდა, ხოლო დროთა უკუღმართობამ ,,ნეიტრალ ზონად'' გადანათლა და ამ გარემოებით სომხეთს განუხორციელები ილუზიები ჩაუნერგა.

ამ ორივ ,,სახელმწიფოს'' უკან სდგას კომუნისტური რუსეთი, რომელიც სიტყვით გვმეგობრობს, მაგრამ საქმით თვითონაც იბრძვის საქართველოს წინააღმდეგ და სხვა ჩვენს მტრებსაც [illegible] ჩვენსავე წინააღმდეგ.

განა დამტკიცება უნდა იმ გარემოებას, რომ აზერბაიჯან-სომხეთის უკანასკნელ ნოტებითაც იგივე კომუნისტური რუსეთი იბრძვის საქართველოს თავისუფლების დასამხობათ? განა ეჭვი უნდა გვებადებოდეს იმაში, რომ დღევანდელისა ხის ბაქო და ერევანი არის მხოლოდ თუთიყუში'' კომუნისტურ მოსკოვისა! ქვეყანად ვერც კი გამოუთქვამთ ჩიჩერინის ახალ ლაქიებს ჩაძახილი აზრი და უშველებელ ფურცლებს აბდაუბდით ავსებენ! ტალეირანი უნდა გადაბრუნდეს ჭმუნვით ძველ საფლავში, როდესაც აზერბაიჯან-სომხეთის ,,ნარკომინდელების'' საცოდავი ბოდვაც დიპლომატიურ დოკუმენტებში ირიცხება...

გრამატიკასა და ლოგიკას ჩამოშორებული აზერბაიჯან-სომხეთის ყველა ნოტები ერთს მომენტში კი მუდამ შეუდარებელია: ნოტა თავიდან ბოლომდის ადრესატის შეშინებაზეა აგებული და სისტემატიურად მუქარით ივსება: ესა და ეს დაგატყდება თავს, თუკი მყისვე არ შესრულე ჩვენი მოთხოვნილება!

და მოთხოვნილება კი თითქოს ყოველთვის ,,მადიანია'': ეტყობა ახალი ჯურის სახელმწიფო მოღვაწეების ,,ერო'' კარგად მიითვლის.

ერთი რამ ცხადია და ვწუხვართ, რომ ბოლშევიკურ დიპლომატებს ჯერაც ვერ შეუგნიათ ეს სიცხადე:

საქართველო არ ეკუთვნის იმ ადრესატებს, რომელნიც შიშსა და ძრწოლას ეძლევიან მუქარა ავტორების ამოჩხავილის გამო:

ვფიქრობთ, საკმაო მაგალითები მოიძებნება ახლო წარსულის ისტორიაში იმის შესამოწმებლად, რომ არც აზერბაიჯანს და არც მით უმეტეს არარატის რესპუბლიკას საბაბი აღარ უნდა მისცემოდათ შესაშინებელ ეპისტოლეს შეთხზვისათვის.

საქართველო დინჯად ასრულებს თავის სახელმწიფოებრივ დანიშნულებას და იფარგლავს იმ ადგილებს, რომელიც მხოლოდ მისია...საქართველო იცავს თავის დამოუკიდებლობას, იკრებს თავის საკუთარ მიწაწყალს და თუ ეს გარემოება ,,ხახაში ეჩხირებაო'' აზერბაიჯანისა და სომხეთის გამგებლებს,—ჩვენი სახელმწიფო მაინც ვერ შესცვლის ამ ისტორიულ აუცილებლობის პოლიტიკას.

რაც შეეხება მუქარას, იძულებული ვართ ერთხელ კიდევ განვაცხადოთ ყველასთვის საყურადღებოდ: თავისუფალ საქართველოს ერთგული ჯარი—მისი შეიარაღებული ძალა დღესაც გაკაჟებული დგას სახელმწიფოს საზღვრებზე:

ის გასცემს პასუხს მტერსაც და მოყვარესაც...

ინისტრ არსენიძისა და დეპ. შ. ნუცუბიძის ინციდენტი

„მინისტრმა მაინც პასუხი გასცა"

ახე სწერს „ერთობა" დამფ. კრების სამშაბათის სხდომაზე. თუ ტრიბუნაზე ასვლა თავისთავად პასუხად ჩაითვლება, მაშინ „ერთობის" ინფორმაცია სწორია, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სიბეჩავეს და სისაწყლეს, რომელიც მინისტრმა გამოიჩინა, მაშინ მიუდგომელი ადამიანი სულ სხვას იტყოდა. ბ. განიც ეხება იმავე გაზეთში ჩემს სიტყვას შესახებ იუსტიციის სამინისტროისა და მიაჩნია ის ანტიმორალურად და ზნეობაზე ლექციას უკითხავს ოპოზიციას. გავარჩიოთ ორივე შემთხვევა.

მე ვაცხადებ იმათთვის, ვისაც სურვილი და უნარი აქვს გაიგოს ჭეშმარიტება: ბ. არსენიძემ მე პასუხი ვერ გამცა, რადგანაც ვერც გამცემდა. ბ. არსენიძემ კარგად იცის, რა საბუთები მიჭირავს მე ხელში და ამიტომაც იყო, რომ ასეთ უმწეო მდგომარეობაში იყო, რომ მისი მოსმენისას მე კაცთმოყვარეობამ შემიპყრო და გულწრფელად შემეცოდა. საცოდავია მოწინააღმდეგე, როდესაც ის სიბრალულს იწვევს!

ბ. არსენიძემ განაცხადა 1) რომ ჩემს მიერ წამოყენებულ გარკვეულს ბრალდებაზე არაფერი იცის. ეს ტყუილია. საქმიდან სჩანს, რომ მან ეს იცის; 2) ბ. არსენიძემ უარჰყო კანადის ფქვილის ერთი ტომრის მიღება ბრალდებულ ჩიკვაიძისაგან. ეს მეორე ტყუილია: საქმიდან სჩანს, რომ ბ. არსენიძეს ეს ფქვილი მიუტანა თვითონ ჩიკვაიძემ და ამის შესახებ არსენიძემ კიდეც უთხრა ერთ-ერთ დაკითხულ მოწმეს (რომელიც თავის ჩვენებაში ამას ადასტურებს); 3) ბ. არსენიძემ განაცხადა: საქმე გამოძიებაშია და ამიტომ ვერაფერს ვიტყვი ტრიბუნიდანო; ეს მესამე ტყუილია: საქმე დამთავრებულია და საბრალმდებლო ოქმიც შედგენილია; [illegible] ეს იპოვნება საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში მაგიდა № 1.

მე იძულებული ვარ ეს სამი ტყუილი აღვნიშნო, ვინაიდან პატივცემული გაზეთი ყალბ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას. ასეთია „მინისტრის მაინც გაცემული პასუხი".

ბ. განი კეთილშობილებაზე მოგვითხრობს. მე არ ვიცი, შეიძლება პატარა საქმეა, რომ ნაპარავ საქონელს იუსტიციის მინისტრს უნაწილებენ, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ ამის მხილება სჯობია, ვიდრე დაფარვა რადგან მე მეორე უფრო მორალურად მიმაჩნია. ბ. განს, როგორც სჩანს, ამის დამალვა მიაჩნია კეთილშობილებად.

ბ. განმა არ იცის, რადგან საქმეს არ იცნობს, რომ პროცესში, რომელიც ამ მოკლე ხანში გაიმართება, რადგან საბრალმდებლო ოქმი დაწერილია, ამოტივტივდებოდა ბ. იუსტიციის მინისტრის სახელი. მე არ ვიცი, რა გუნებაზე იქნებოდა მაშინ განი, შეიძლება ის მაშინაც მოინდომებდა კეთილშობილ რაინდის როლის თამაშს, მაგრამ ჩვენ, ოპოზიციის მინუსად ჩაგვეთვლებოდა, რომ დროზე ვერ ვამხილეთ სამარცხვინო ფაქტი.

არ ვიცი ვის მეტი უფლება აქვს ილაპარაკოს კეთილშობილებაზე. მე თუ განს? განა არ მოეხსენება ბ. განს, რომ მე მინისტრისთვის სკანდალის გამართვა არ მსურდა და მივმართე მას წინადადებით დანიშნული ყოფილიყო საპარლამენტო კომისია მისი მოღვაწეობის გამოსარკვევად, სადაც ჩემის აზრით ეს შემთხვევაც გამოირკვეოდა? მან ეს არ ისურვა. ამის შემდეგ მე იძულებული ვიყავი ყოველი ტრიბუნიდან მეთქვა.

ისიც ხომ იცის ბ. განმა, რომ მე წინადადებით მივმართე ბ. მინისტრს მი[illegible]ცი პასუხის გებაში და [illegible] ვსთხოვე ჩემი განთავისუფლება დროებით დეპუტატის შეუვალობისაგან. ბ. მინისტრმა რომ ამაზე არ მი[illegible]უზა ეს ჩემთვის გასაგებია, რადგან მან იცოდა, რით გათავდებოდა საქმე, მაგრამ მე მიკვირს, რომ ბ. განს ყველაფრის შემდეგ, რის თვითმხილველი და მოწმე ის იყო, შესწევს სითამამე ჩემს [illegible] კეთილშობილებაზე ილაპარაკოს. ბ. განო, პატივი ეცით კალამს და ნუ აიპრიყვებთ მელანს და ქაღალდს მარტო იმისთვის, რომ მათ ნებით განგები[illegible] ძალა არ შესწევთ თავიდან აიცდი[illegible]ნ თქვენს საშწერლით გამოსვლებში [illegible]ნაწილეობა.

შალვა ნუცუბიძე.

—

მინაწერი. მას შემდეგ რაც ჩემი სიტყვის სტენოგრამმა გამოქვეყნდება, იმედი მაქვს ბ. არსენიძე შეეცდება საქმის გამორკვევას. საამისოდ მე მას გარკვეულ ვადას არ უნიშნავ, რადგან ჯერ არ ვიცი როგორ მოიქცევა. შ. ნ.

(სახ. საქ.)

ქაღალდის ფულის მეგობრები

ამ ადამიანმა, რომელმაც გამოუცხადა დაუნდობელი ომი ევროპას, ე. ი. დღევანდელ კაპიტალისტურ წესწყობილებას, ლენინმა—1918 წლის იანვარში განაცხადა: საუკეთესო გზა კაპიტალისტურ წესწყობილების დასამხობად ქაღალდის ფულის ნიშნების უსაზღვრო გამრავლე[illegible]ათ.

როდესაც ქაღალდის ფულს შეუწყვეტლივ უშვებენ, ბაზარზე ხდება ღირებულებათა მუდმივი და შეუწყვეტელი გადაფასება. ჩვენ წინა ნომერში განვებ გაუშვით ცნობები, თუ რა რიგათ ეცემა ფულის ფასი ბაზარზე ევროპის სხვა და სხვა ქვეყნებში ქაღალდის ფულის ახალ-ახალ გამოშვებით. მარტო საფრანგეთის მაგალითი რომ ავიღოთ, ქაღალდის ფულის ნიშნებთა მხოლოდ რვა პროცენტით გამრავლებას გამოუწვევია თითქმის 50 პროცენტით ფულის ღირებულების დაცემა. საბერძნეთს ხუთი პროცენტით გაუმრავლებია ქაღალდის ფულის რაოდენობა და ამით ფულის ღირებულება 42 პროცენტით დაცემულა. შეიძლება ითქვას, თუ ქაღალდის ნიშნების გამრავლება ხდება არითმეტიკულის შეფარდებით, ფულის ღირებულების დაცემა ხდება გეომეტრიულის შეფარდებით.

აქედან ცხადია, რაც უფრო ხშირია ბაზარზე ფულის გამრავლება, მით უფრო მეტი ხდება ღირებულებათა ცვალებადობა არავითარი იმედი ხვალინდელ დღეზე აღარ იარსებებს. დღეს თუ ჩემი ჯოხი ღირს 100 მან., ხვალ ის შეიძლება გახდეს, 150—200 მან.

ირღვევა ნდობა, კრედიტი, რაც ფუძეა კაპიტალისტურ წესწყობილების. აი, ეს ჰსურთ ბოლშევიკებსაც, ისინი განზრახ ხელს უწყობენ ფულის ფასის დაცემას. საამისოდ არ ერიდებიან არავითარ საშუალებას. ერთი მიზეზთაგანი ვალიუტის გაფუჭებისა ჩვენში უთუოდ ბოლშევიკების მუშაობაცაა. პირველი ქვეყანა, სადაც ბოლშევიკების წარმომადგენელნი იქნენ შეშვებული, გახლდათ გერმანია. ბოლშევიკებმა ყოველი ღონე იღონეს მარკების დასაცემად, რომ ამითი გამოეწვიათ საერთოდ ღირებულებათა გარდაქმნა. უკანასკნელი, ცხადია, პირველ ხანებში ცხოვრების გაძვირებას, გაჭირვებას გამოიწვევდა; შემდეგ კი, ფიქრობდნენ ბოლშევიკები, საერთო გაჭირვებისა და გაღატაკების ნიადაგზე უფრო ადვილათ მოხდებოდა სოციალური რევოლუცია. ცნობილია გერმანელ ბანკირებისა და ეკონომისტების საერთო აზრი, რომ ბოლშევიკების ძალღუმა და ბოროტმა მუშაობამ ძალიან შეუწყო ხელი მარკის დაცემას, განსაკუთრებით წარსულ მარტ-აპრილის მანძილზე. გარდა ყალბ ნიშნების უსაზღვროდ გავრცელებისა, ისინი ოქროთი თუ სხვა საშუალებით იძენენ მარკებს და შემდეგ თითქმის უანგარიშოდ ხარჯავდნენ, მაგ., მეეტლეს სამჯერ, ხუთჯერ მეტს აძლევდნენ, ვიდრე ტაქსით ერგებოდა და სხ. თუ ერთ ქალაქში მაგ. ყოველ თვეში რამდენიმე ათეული მილიონი გავა ბაზარზე რამდენიმე ასეულ ათასის მაგიერ, თუ ეს პროცესი სისტემატიური იქნება თვიდან თვემდე, თუ ამას დაემატება ყალბ ფულის გავრცელება, თუ ეს ყველაფერი ორგანიზაციულად იქნება ჩატარებული, რასაკვირველია, ბოროტი განზრახვა სისრულეში მოვა და სახალხო მეურნეობის რიგიანი მუშაობა ხანგრძლივად შეფერხდება. ეს იცის ევროპამ.

ამისთვის მარტო ბოლშევიკების კი არა, რუსეთიდან ყველა გამოსულთ განსაკუთრებულის სისასტიკით ადევნებენ თვალყურს და სასტიკ კონტროლს უწევენ.

ბოლშევიკების წარმომადგენელთ კი უკანასკნელ წვრილმანამდე განუსაზღვრავენ ბაგაჟსა და თანამშრომელთა რიცხვს.

სტოკჰოლმში ბოლშევიკების აგენტის ოქროს ტრიალი, გაყიდვა თუ მოთავსება, წამსვე ცნობილია პოლიციისა და მთავრობისთვის.

ინგლისში კრასინი ისე შეაწუხა მეთვალყურეობამ, რომ რამდენჯერმე საყვედურებით მიმართა გაზ. „დეილი ჰერალდს" და სამინისტროსაც. მისი მხლებელთა რიცხვი სასტიკათ განსაზღვრეს და ბაგაჟი შეუმცირეს. მისი ყოველი ნაბიჯი პოლიციისათვის ცნობილია.

ხსენებულ სახელმწიფოთ ის შველის, რომ მათი ქაღალდის ფულის ფალსიფიკაცია ძნელია. თუმცა ცნობილია რომ ინგლისური ყალბი გირვანქებიც დაამზადეს ბოლშევიკებმა. ყალბი გირვანქები ძალიან ბევრია ბათომშიც, თბილისშიც, კონსტანტინეპოლში და სხ. მოსაზღვრე ქვეყნებში.

ვის არ ახსოვს, რომ კრასინი და მისი შტატი თვეობით იჯდა ზღვაზე დანიაში, ვიდრე ინგლისი მას შეუშვებდა თავის საზღვრებში.

აგეთი სიფრთხილით ეპყრობიან ევროპაში ბოლშევიკებს, რომელთა „მუშაობა" უცხოეთში ყველგან ჰეროსტრატისებურია: სახელმწიფოს ფინანსების სრული განადგურება ვალიუტის კატასტროფიული დაცემით და აუტანელ სიძვირის გამოწვევით დამხობა ამა თუ იმ სახელმწიფოსი!

ეს მოქმედება კომუნისტებისა ნათლად ამტკიცებს მხოლოდ იმ აზრს, რომ სოციალისტური რევოლიუცია არის შედეგი ხალხთა გაღატაკებისა. მაგრამ პრაქტიკულად ჩვენ გვაინტერესებს ის, რომ ბოლშევიკების მავნებელი „ფინანსიური" მოღვაწეობა ძალიან ადვილ ახსნილია ჩვენში. არას დროს ქართული ბონი ისე არ დაცემულა ფასებში, როგორც ბოლშევიკების „ელჩის" თბილისში ჩამოსვლისა და მისი „შტატის" ამუშავების შემდეგ.

თბილისი და ბათომი სავსეა ყალბი ბონებით; [illegible] გაძვირება, რასაც იწვევენ ბოლშევიკების აგენტები პროპაგანდით და განზრახ მოწყობილ ხარჯებით. კიდევ მეტი. ისინი ყიდულობენ მაღალ ფასებში უცხო ვალიუტას, რომ მეტად დასცენ ჩვენი ბონის ფასები. ბოლშევიკები რომ ბოროტ გრძნობებით თვალ ყურს ადევნებენ ჩვენი ვალიუტის ვითარებას და არაფერს ზოგვენ მისი გაფუჭებისთვის, ამას სხვათა შორის უკანასკნელი „დიპლომატიური" ნოტაც მოწმობს ბოლშევიკების წარმომადგენლისა: როგორც კი შეიქნა, ცნობილი უცხოეთში, სესხის აღება და ჩვენი ვალიუტა თითქმის 50 პროცენტით აიწია, პროცესის „შესაჩერებლად" ჩვენს მთავრობას ნოტა მიართვეს რამოდენიმე მილიონიან სესხის მოწყობის შესახებ ჩვენს რესპუბლიკაში, და ისიც ჩვენი ბონებით! ალბათ იმედი ჰქონდათ ბირჟაზე შთაბეჭდილება მოხდინათ და სტერლინგის ფასი აეწიათ. მაგრამ ამ ორ დღეში აშკარა შეიქნა თვით უვიცისთვისაც, თუ რაოდენათ ხელოვნური იყო სტერლინგის გაძვირება. საჭირო იყო მხოლოდ ცნობა, რომ ჩვენებს უცხოეთში სესხის საქმე მოუწყვიათ, რომ სტერლინგის ფასი განახევრდა. შესაძლოა რაიმე როლს თამაშობს აგრეთვე ზოგიერთი ბანკების მუშაობა, რომელთა ინტერესი იმ თავითვე ეწინააღმ.: ჩვენს სახელმწიფოს ზოგი მათგანი შესაძლოა ბოლშევიკურ სახელმწიფოს ფილიალიც გახდეს მას შემდეგ, რაც ბოლშევიკური მთავრობა გამოცხადდა აზერბაიჯანის გარდა სომხეთშიაც. აქ, ცხადია, საჭიროა ერთგვარი კონტროლი, რომლის დაწესება ფრიად დროული და საჭიროა.

სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები იმ უცხოელთა წინააღმდეგაც, რომელთა მუშაობა სხვათა შორის იქითკენაცაა მიმართული, რომ ჩვენი ვალიუტა გააფუჭონ და მით ცხოვრება რესპუბლიკაში შეუძლებელი გახადონ. ეს ერთ ერთ იარაღათ აქვთ ბოლშევიკებს რევოლიუციის მოსაწყობათ. ეს მტრობაა რესპუბლიკისადმი.

ტ. მ.

ორი ფრონტი.

გაზეთ „საქართველოს" მკითხველებმა უკვე იციან თუ რა ბედი მოელის უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად გაგზავნილთ: უსახსრობისა გამო ვადაზე ადრე უკან დაბრუნება. ამ გზას ადგია მთავრობა უსახსრობისა გამო, ამ ხერხს მიმართავს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის იმედით არა ერთ ახალგაზრდის სამეცნიერო განზრახვებს შესხმია ფრთები, რომელნიც როგორც ვხედავთ გაწხორციელების უმალ, უცხოეთში გაჩაღებულ მუშაობის პროცესში, სამშობლოს მიერვე იკვეცებიან.

ამ გზით, სწორედ ამ ხერხით ჩლუნგდება ენერგია და თუ ვნებავსთ, გონებაც. ვიცით, რომ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა ფრიად აწეწილია, მაგრამ უიმედო მაინც არ არის და რაც უნდა დაუჯდეს მთავრობას, მან საშუალება უნდა მისცეს უკვე გაგზავნილთ მაინც საქმის ბოლომდე მიყვანისა. აჩქარებით უკან დაბრუნება უცხოეთში სამეცნიერო, თუ სხვა მიზნით მყოფთა ხელს შეუწყობს ენერგიის შესუსტებას და ბევრს შეიძლება გზათა კვალიც კი აურიოს ცხოვრებაში.

დღეს საქართველოს შეიძლება არაფერი სჭიროდეს ისე, როგორც დახელოვნებული ტეხნიკოსი, ფართედ განათლებული ინჟინერი, პედაგოგი, მრავალი დაკვირვებით და უტყუარი ცოდნით შეიარაღებული პროფესორი და მრ. სხ., რაც შეიძლება იყოს შედეგად ევროპაში ხანგრძლივ ყოფნისა და, მაშასადამე, სახელმწიფო ვალდებულია თავის რესურსებს სრული მობილიზაცია უყოს და მზრუნველობა არ მოაკლოს, ისევე როგორც სამხედრო ფრონტს, სამეცნიერო ფრონტსაც.

როგორც ვიცით, მშვენიერად ჩაიარა ფრონტის დღეებმა, ბევრმა მილიონები გამოიმეტა, ძალდაუტანებლივ; არამც თუ ქართველს, ბევრ უცხოელს შეჰქონდა თავისი წვლილი საერთო საქმეში, ფრონტის ფონდის გადიდებაში ქართველი და უცხოელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ნუ თუ ამავე ან სხვა წესით არ შეიძლება ყურადღება მიექცეს მეორე ფრონტს—ფრონტს განათლება მეცნიერებისას.

ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტს, მაგალითად, უჯდება თვეში, უცხოეთში შენახვა, თითო გაგზავნილისა სამეცნიერო მიზნით (იურისტების, ეკონომისტების და სხ.) სულ 87 ათასი მანეთი, რაც დღევანდელ კურსის მიხედვით არავითარ საშინელებას წარმოადგენს, თუ არ დავივიწყებთ იმასაც რომ თითოეული გაგზავნილი დაჰყოფს იქ სულ 2—3, მაქსიმუმი 4 წელიწადსა.

იმ ნაბიჯის გადადგმა კი, რომელიც აღნიშნულია ამ წერილის დასაწყისში (იხ. აგრეთვე „საქ." 30 დეკ. №) მოასწავებს განათლების ფრონტის შესუსტებასა, რომელსაც უპირველესი მზრუნველობა სჭირია სამხედრო ფრონტის შემდეგ.

მაშ, ჯერ ერთი ფრონტი და განუწყვეტლივ მასთან სრული მზრუნველობა მეორე ფრონტსა, რომელზედაც დამყარებულია მთელი ჩვენი მომავალი.

მზრუნველობა ორივე ფრონტს და არა შესუსტება, რომელიმე მათგანისა—აი დედა აზრი სტატიისა.

შ. ბერიძე.

საქართველოს მთავრობის ნოტა რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობისადმი.

დეკემბრის 30 ს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვის მთავრობას: „მოსკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს პირი საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელს მახარაძეს.

დეკემბრის 5 დან დღემდის ა. ს. ს. რ. საზღვრებიდან საქართველოში არ შემოსულა არც ერთი ცისტერნი ნავთი. ამ ჟამად ა. ს. ს. რ. ტერიტორიაზე დაჭერილია სპეციალურად ნავთის პროდუქტებისათვის იქ გაგზავნილი საქართველოს 6 სამარშრუტო მატარებელი 240 ცისტერნით და 12 ორთქმავალით, რომელთაც თან ახლავს 24 საორთქმავალო და 12 საკონდუქტორო ბრიგადა.

მიუხედავათ ა. ს. ს. რესპუბლიკაში საქართველოს წარმომადგენელთა პროტესტებისა, ამ მატარებლებით და ბრიგადებით რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მთავრობები სარგებლობენ რკინის გზის ლიანდაგის გასწრივ საკუთარ ნავთის რეზერვუარების ასავსებათ.

ჩვენ ხელთა გვაქვს ოფიციალური დეპეში 6 დეკემბრის თარიღით № 379, რომელსაც ხელს აწერს სახალხო კომისარი მუშკოვი, როგორც ამ დეპეშიდან აშკარათ სჩანს აზერბაიჯანის რკინის გზათა სამმართველოს წინადადება მიეცა შეჩერებინა საქართველოს რკინის გზისათვის გადმოსაცემად დანიშნულ ყველა ვაგონების გზავნა, ხოლო უკვე გზაში მყოფი სათბობი მასალით დატვირთული საქართველოს მატარებლები დაეკავებინა განმანაწილებელ სადგურებზე ახალ განკარგულებამდის.

ამის გარდა იმავე კომისარის მუშკოვის 9 დეკემბრის, № 1039 ოფიციალური დეპეშით ებრძანა სათანადო მართველობას საქართველოს ორი ნავთით დატვირთული მატარებელი დაუყონებლივ განჯაში დაეცალათ და ორიც ასეთივე მატარებელი სასწრაფოდ გაეგზავნათ დარუბანდს დასაცლელად. ამავე დროს რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. მართველობის მიერ შეპყრობილ იქმნა სამი საქართველოს რკინის გზის აგენტი.

ამგვარად 11 დეკემბრის, № 3645 ნოტაში სრულუფლებიან წარმომადგენლის განცხადება, თითქოს რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობამ საქართველოში ნავთის გამოგზავნის შეჩერების შესახებ განკარგულება გასცა ვითომდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის უკანასკნელ მოქმედებათა გამო, რომელნიც არ ეთანხმებიან რ. ს. ფ. ს. რ. და საქართველოს შორის დამყარებულ მეგობრულ ხელშეკრულობათა ურთიერთობასო, მხოლოდ დაგვიანებული დადასტურებაა ფაქტიურად ადრევე განხორციელებულ გეგმის, რომლის შესახებ ჩემი მთავრობა სრულიად არ იყო გაფრთხილებული.

სამარშრუტო მატარებლების დაჭერას, საქართველოს რესპუბლიკის ქონების, თვითნებობით სარგებლობას და საქართველოს ბრიგადების შემადგენლობაზე ძალადობის მიყენებას, ჩემი მთავრობა სთვლის მისი უფლებების და 14 ნოემბრის სავაჭრო სატრანზიტო შეთანხმების პირობების აშკარა დარღვევად და საქართველოს მიმართ მტრულ აქტად, რომელიც ძირს უთხრის კეთილმეზობლობის პრინციპს და გაუსწორებელ ზიანს აყენებს ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ყველა ეს ფაქტი ძირიანად ეწინააღმდეგება რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. წარმომადგენელთა მრავალგზით რწმუნებას, რომ მათი მთავრობები მიისწრაფვიან საქართველოსთან კეთილმეზობლურ განწყობილების განმტკიცებისაკენ და ეჭვს აღუძრავენ ჩემს მთავრობას ჩვენს შორის საკომერციო და სატრანზიტო ურთიერთობის შესაძლებლობაში.

ამისათვის, ჩემი მთავრობის სახელით, ვაცხადებ ენერგიულ პროტესტს საქართველოს ბრიგადების და სამარშრუტო მატარებლების მიმართ თვითნებურ მოქმედებათა წინააღმდეგ, რომელიც ჩვენის მხრით არაფრით არ არის გამოწვეული, და მოვითხოვ ამ ბრიგადებისა და მატარებლების დაუყოვნებლივ საქართველოში დაბრუნებას.

30 დეკემბერი, № 11411.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ ქ. საბახტარაშვილი.

ფელეტონი

ბოლშევიზმი, როგორც ახალი სახე ბატონყმობისა.

პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორმა კულიშერმა, რომელმაც ორი წელიწადი დაჰყო ბოლშევიკების ხელში და ამ ბოლო დროს რუმინეთში გაიქცა, შემდეგი მოხსენება გააკეთა ბოლშევიკების შესახებ: „პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნო,—სთქვა პროფესორმა—რომ ტრანსპორტის იმ დანგრევისა და არევ დარევის დროს, რომელსაც ახლა რუსეთი განიცდის, პეტროგრადიდან მოსკოვამდე მე ვიმგზავრე სადიდკაცო [illegible] ძალიან მოუხმარა ჩემი წოდება—პროფესორობა, რომელსაც ბოლშევიკები ძალიან აფასებენ. აქედან ცხადია, რომ რუსეთში თანასწორობა არ არსებობს. ყოვლად უსაფუძვლოა მტკიცება ბოლშევიკებისა, ვითომც ისინი ანხორციელებდენ სოციალიზმს. რუსეთში ნასახიც კი არ არის სოციალიზმ ს.

სოციალიზმი, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით არის კეთილშობილური მოძრაობა, კაცობრიობის ყოვლად დამამშვენებელი იდეალი საერთო თანასწორობისა.

ბოლშევიზმი კი წარმოშვა ომმა და არის გაგრძობა ამ ომისა. ბოლშევიზმიც რომ არ ყოფილიყო და ძალა-უფლება ჩაეგდო ისეთს პარტიას, რომელიც არც ზავს მოაწერდა ხელს და არც ომს განაგრძობდა, სულ ერთია რუსეთი მაინც ისეთს მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რომელშიაც დღეს არის.

აუტანელი სიმშილი და უსაჭიროესს ყოველგვარ საგნების დიდი ნაკლებულობა ერეკება ხალხის მასსებს ბოლშევიკებისა და ახალ ახალ ოლქების დაპყრობისაკენ. ბრძოლა ბოლშევიკებისა დონზე და უკრაინაზე პირდაპირი შედეგია რუსეთში არსებულ სიმშილისა, ვინაიდგან წითელ ჯარს არ სურს აღმოსავლეთისაკენ წასვლა, რადგანაც იქ შესაფერ საჭმელს ვერ იშოვნის. ბოლშევიკები იძულებულნი შეიქმნენ ჯარის გამოსაკვებათ შინვე გაეჩაღებინათ ომი და, ამ გვარად, მათ შექმნეს არა სოციალური, არამედ ბატონ-ყმური, ფეოდალური სახელმწიფო.

ეს მით უფრო აღსაშფოთებელია, რომ რასაც მთავრობის მეთაურნი სჩადიან მოსკოვში, ვითომ სოციალიზმისათვის ჩადიოდენ. პირიქით ყოველი მათი მოქმედება, გარდაიქმნა და ახალი რამის შემოღება პირწმინდა ბატონყმობაა და განუწყვეტელი ბრძოლაა თავის არსებობის დასაცავად.

ამ ჟამად რუსეთში გამეფებულია ფეოდალიზმი. დიდი და მდიდარი მრეწველობა,—ნაციონალიზაციის სახით,—სულ მოლად განადგურდა. ბატონყმურ სახელმწიფოში წარმოუდგენელიც არის მრეწველობის არსებობა, ვინაიდგან მეზობლებთან ურთიერთობას მოკლებული და კარჩაკეტილი ქვეყანა მრეწველობასა და ალებ მიცემობას ვერ ააყვავებს. ბატონყმურ სახელმწიფოს ასულდგმულებს მხოლოდ ისეთი წვრილი წარმოება, როგორც დღეს არის რუსეთში. მსხვილი ალებ მიცემობა ფეოდალურ სახელმწიფოში წარმოუდგენელია. აქ ჰმეფობს მხოლოდ წვრილი ვაჭრობა და უფრო კი საქონლის გაცვლა გამოცვლა.

ყველაზე უფრო გავრცელებული დარგი მრეწველობისა, რაც იპყრობს ერთად ერთ ყურადღებას ბოლშევიკებისას არის დამზადება სამხედრო მასალების და წითელი ჯარისათვის საჭირონივთ. და სურსათისა. გლეხობაც წვრილ ბატონყმურ თემებად გადაიქცა. ის ხნავს იმდენ მიწას, რამდენიც თვითონ სჭირია ისე როგორც ფეოდალიზმის დროს, ახლაც ქალაქები ნელნელა კვდებიან. აღარავისათვის აღარ არის საჭირო მათი არსებობა.

ბოლშევიზმი არ არის პოლიტიკური პარტია. ეს ერთგვარი კასტაა, თუ გნებავთ, ერთგვარი სარწმუნოებრივი ორდენია? ისეთი როგორრებიც იყვნენ საშუალო საუკუნოებში ტევტონებისა ან მალტიელების კასტები. უარსა ჰყოფს რა ყველას და ყველაფერს, ბოლშევიზმი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტება მხოლოდ კომუნიზმშიაო და ბევრი გულუბრყვილო ადამიანი ასე ხსნის: ერთი მასწავლებელი ქალის სიტყვით რომელმაც აუხსნა პირველი კლასის მოსწავლეებს, რომ რევოლიუციამ მოსპო წმ. სამება, სამაგიეროდ დაარსა მეორე სამება: მამა ღმერთი კარლ მარქსი, ძე—ლენინი და კომუნიზმი—სული წმინდა. კომუნისტები ეს სახელმწიფოა სახელმწიფოში. ამათ ვერავინ დაატუსაღებს და ვერც ვერავინ გაიწვევს ჯარში. იმათ თავისი საკუთარი ორგანიზაცია აქვთ, რომელიც განაგებს მათ ცხოვრებას: ატუსაღებს, ჯარში გაჰყავს, დახვრეტს კიდეც. კომუნისტები—ერთგვარი პატივდებული კასტაა: უკეთესად სცხოვრობენ, უკეთესად აცვიათ, უკეთესად იკვებებიან, და ყოველგვარი უპირატესობით სარგებლობენ.

ბევრში ახლანდელი რუსეთი წააგავს პეტრე დიდის დროის რუსეთს. სამართალი არ არსებობს, უბრალო მომაკვდავის ბედი და უბედობა ახალი ფეოდალების ხელშია. საბჭოთა რუსეთში დაგიჭერენ, დაგტანჯავენ, მოგკლავენ კიდეც და ვერავინ გაიგებს რად, რისთვის? იმასაც კი ვერ გაიგებენ, ვინ იყო თქვენი მსაჯული! უნდა ვებრძოლოთ ბოლშევიზმს იმიტომ, რომ იგი მტერია სოციალიზმისა. ნამეტნავად ამას უნდა ებრძოლონ განათლებულებმა, მეცნიერებმა და ყოველ ღონეს უნდა ხმარობდნენ, რომ მოსპონ ახალი ბატონყმური კასტა და „ბოლშევიკური ინტელიგენცია"—მწარედ დაათავა თავისი მოხსენება პროფესორმა კულიშერმა.

(„ლ, იმფორმაციონ")

—

— პარიზი. „ტანი" სწერს: ინგლისის ოფიციალური წრეები რუსეთის ფულით ვალდებულების საკითხს პოლიტიკური თვალსაზრისით იხილავენ. ამასთანავე ინგლისის პრე[illegible] სთვლის გაჯაჭვდეს ეს საკითხი მსოფლიო მასშტაბში საერთო კონფერენციაზე.

ლონდონი. ლონდონში გამართულ მიტინგზე ლოიდ ჯორჯმა სთქვა: ინგლისს ჯერ კიდევ წარსულ წლის ზაფხულში სურდა დაემყარებია კეთილმეზობლური დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთსა და უკანასკნელის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა შორის. ამისათვის ჯერ კიდევ ივლისში იყო მოწვეული ლონდონში სამშვიდობო კონფერენცია, მაგრამ ბოლშევიკებმა, რომლებიც ვარშავას უახლოვდებოდენ, კონფერენციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ამ ჟამად ასეთ კონფერენციის მოწვევა მეტად სასურველი იყო, მაგრამ მისი მოწვევა შეუძლებელი ხდება იმის გამო რომ საბჭოთა რუსეთი ყოველგვარ საერთაშორისო ნორმას და განწყობილებას გვერდს უხვევს.

— პარიზი. ფრანგული პრესა აქვეყნებს ერთა ლიგაში მყოფ არგენტინის წარმომადგენლის განცხადებას. განცხადებაში აღნიშნულია აუცილებლობა ერთა ლიგაში ყველა იმ სახელმწიფოების წარმომადგენლების მიღებისა, რომელთაც დამოუკიდებელი მართველობის ორგანოები აქვთ. ასეთ სახელმწიფოებს შეუძლიათ იმუშაონ ერთა ლიგაში სათათბირო ხმის უფლებით. ლიგას არ აქვს უფლება არ მიიღოს რომელიმე სახელმწიფო, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს კაცობრიობის ნამდვილ პარლამენტის ხასიათს.

— ჰელსინგფორსი. თანახმად მოსკოვიდან მოსულ ცნობისა იაპონიის საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულება უფრო და უფრო საშიშარ ხასიათს ღებულობს.

— ქრისტიანია. რუსი ბოლშევიკები გზავნიან ოქროს ნორვეგიის გაფიცულ რკინის გზელთა დასახმარებლად. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ჩრდილოეთ ნორვეგიის კომუნისტებმა და საბჭოთა რუსეთის შორის მუდმივი კავშირი არსებობს. ნორვეგიელ ბოლშევიკების აგენტები ხშირად მიემგზავრებიან არხანგელსკში და მურმანში და იქიდან ფული და ლიტერატურა მოაქვთ.

— პარიზი. „ტანი" იუწყება: სოციალისტების წინასწარმა ყრილობამ ბერნში დაადგინა: მოიწვიონ თებერვლის 22, საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი ვენაში. ყრილობამ შემდეგი საკითხები უნდა განიხილოს:

1. იმპერიალიზმი და სოციალური რევოლიუცია. 2. საერთაშორისო ბრძოლა კონტრ რევოლიუციასთან. ამიტომ იანვრის დასაწყისში ვენაში უნდა შეკრიბოს საორგანიზაციო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან: ინგლისისა, საფრანგეთისა, გერმანიისა, ავსტრიისა და შვეიცარიის წარმომადგენლები. ყრილობაზე ყველა სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლები იქნებიან მოწვეულნი.

— პარიზი. „ტანი" ბეჭდავს კონსტანტინეპოლიდან მოსულ შემდეგ კორესპოდენციას: კომუნისტებმა, რომლებიც მეტად შეაშფოთა ხმებმა ოსმალეთსა და ინგლისის შორის დაწყებულ მოლაპარაკების შესახებ და რუსეთში მუსლიმანურ ხალხთა შორის დაწყებულმა მოძრაობამ, წარუდგინეს ქემალისტებს ულტიმატუმი სომხეთის დაუყონებლივ დაცლის შესახებ. ამის გამო გუმრისა და ყარსის ახლო წითელი ჯარები ჯგუფდებიან.

დეპეშები.

გერმანული ცნობა.

ხელშეკრულება ქვანახშირის შესახებ.

ხელშეკრულება ქვანახშირის მიწოდების შესახებ, რომელიც გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიას შორის იყო დადებული, კვლავ ხუთი თვით განახლდა.

იმის გამო, რომ გერმანიაში ქვანახშირის ნაკლულოვანება არის, რაც არის შედეგი სპაში დადებულ ხელშეკრულობისა, ჰამბურგის ნავთსადგურში ინგლისიდან მოაქვთ ნახშირი, რაც მეტად ძვირათ ფასობს.

ახალი წლის შეხვედრას ბერლინში ჩვეულებრივი ხასიათი არ ქონდა, პირველ ხარისხის რესტორანში მოსიარულენი უფრო იაფ ფასიან რესტორანებში გადავიდნენ. ყველამ მიიღო სახეში ცხოვრების გაძვირება. სპეკულიანტებმაც კი მიაქციეს ამას ყურადღება.

ფრანგული ცნობები.

ინტერნაციონალი

მუშათა ინტერნაციონალის ფრანგულ სექციის სოციალისტურ პარტიის მომხრეები თავის მანიფესტში აღნიშნავენ იმ მიზეზს, თუ რად წავიდნენ ისინი კომუნისტური კონგრესიდან. იქ ყველაფერი მომზადებული იყო მოსკოვის ბრძანებით. ჩვენ გავიგეთ, რომ კამათის დროს მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტის ფარული წარმომადგენელი ბრძანებას იძლეოდა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო და რა არა. და ბოლოს კონგრესმა კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტისაგან ზინოვიევისა და ლენინის ხელმოწერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღო თავისუფალ და ამაყ საფრანგეთის პროლეტარიატის შეურაცხყოფელი დეპეში. უმეტესობამ არ მოინდომა ამ შეურაცხყოფის წინააღმდეგ გალაშქრება. მაშინ ჩვენი მოვალეობა ნათელი შეიქმნა და ჩვენ მალე აღვასრულეთ იგი: დავსტოვეთ კონგრესის დარბაზი და განვაგრძეთ სოციალისტური პარტიის კონგრესი სხვა ადგილას. ამგვარია ფაქტები. ათავებენ რა თავის მანიფესტს, სოციალისტები სთხოვენ მშრომელთ, რომ მათ აღასრულონ თავისი ვალდებულება და შეუერთდნენ სოციალისტურ პარტიას.

საბერძნეთში

ათინიდან მოსულ ცნობით დეკ. 29 ს რალის მისულა ინგლისის, საფრანგეთი და იტალიის საელჩოებში და ამ ელჩებისათვის გადაუცია საბერძნეთის მთავრობის პასუხი ანტანტის მიერ მართ, დეკ. 3 ს გამოგზავნილ პოლიტიკურ ნოტაზე. ლონდონის კონფერენციის გამო პასუხის ტექსტი არ გამოქვეყნდება მანამ, სანამ იგი დაინტერესებულ მთავრობებს არ გადაეცემათ. დარწმუნებით ამბობენ, რომ ეს ნოტა შედგენილი ყოფილა სათანადო ღირსებით და გულითადი ტონით. ნოტა სცდილობს გაჰფანტოს ანტანტის შიში საბერძნეთის მომავალ მოქმედების შესახებ.

გერმანიაში.

ბერლინიდან იუწყებიან: იმპერიის პრეზიდენტმა, რეისხტაგის თავმჯდომარემ და გენ. ფონ-ზეკტმა ახალ წლის გამო რეისხვერს მოწოდებით მიმართეს. ოფიციალური მილოცვანი ახალ წლის პირველ დღეს, რომელიც შეწყვეტილი იყო ომიანობის დროს ექვსი წლის განმავლობაში, წელს კვლავ აღდგენილ იქმნა ელისეს სასახლეში ჩვეულებრივი ცერემონიალით.

კაბინეტის კრიზისი პოლონეთში

პარიზი, 3 იანვ. თანახმად „ტანის“ მიერ მიღებულ ცნობებისა, დაშინსკის გადადგომა მტკიცდება. როგორც სჩანს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვიტოსმაც თავი დაანება კაბინეტს; მოსალოდნელია, რომ პოლონეთის მინისტრები პოლონეთის სეიმის გახსნისას შეცვლილი იქნებიან, პოლონეთის სეიმის გახსნა 18 ს არის დანიშნული.

ლიონი. 31. ტურის კონგრესზე მომხდარმა ინციდენტმა და საფრანგეთში გერმანელ რევოლიუციონერკას კლარა ცეტკინას მოსვლამ დეპუტატთა პალატაში გამოხმაურება გამოიწვია. ზოგიერთ დეპუტატის შეკითხვაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა სტეგმა უპასუხა, რომ საფრანგეთის მთავრობა რევოლიუციონურ მოქმედების გადაჭრით წინააღმდეგია და რომ მთავრობა ცდილობს საფრანგეთის ასეთ არა სასურველ ელემენტებისაგან გაწმენდასო. პალატამ სტეგის განცხადება 451 ხმით წინააღმდეგ 54 ხმისა მოიწონა.

საფრანგეთის ახალი სოციალისტური პარტია.

კომუნისტების მიერ გამორიცხულმა რეფორმისტები და ლონგეს ჯგუფი გაერთიანდენ და შეადგინეს ტურში კონგრესი იმ მუშაობის გასაგრძობათ, რომელიც წინა კონგრესზე დაიწყეს. სოციალისტი პოლ ბონკური და მისი მეგობრები ცდილობენ. დაიცვან მთლიანობა ლონგესა და რეფორმისტების ჯგუფის შორის და იმუშაონ საერთო იდეალების განსავითარებლათ. თავმჯდომარეთ არჩეული იქნა პრესმანი და პოლფორიკი, თანახმათ საერთო სურვილისა არჩეული იქნა მესამე ინტერნაციონალის მოპირდაპირე სოციალისტურ პარტიის მდივნათ. უმეტესობა ამ პარტიისა ეკუთვნის პარლამენტარულ პარტიას, როგორც მაგალითად: სემბა, ბონკური და ისეთები როგორიც არის რენოდელი და ლონგე.

გერმანიის განიარაღება.

თანახმათ „პტი პარიზიენის“ ცნობისა ბრიტანეთის კაბინეტი ხუთშაბათს იხილავდა საკითხს გერმანიის პოლიციის გაშვების შესახებ. ბრიტანეთის კაბინეტმა გადასწყვიტა დაუჭიროს მხარი საფრანგეთის პროტესტებს და იმ მოქმედებას, რომელსაც იგი ჩაიდენს რათა აიძულოს გერმანია შეასრულოს ის ვალდებულებანი, რომელიც მას ხელშეკრულებამ დააკისრა.

პრაგიდან გენ. პელეს წასვლა.

გენ. პელლე, ოსმალეთში საფრანგეთის უმაღლეს კომისრათ დანიშნული, იანვრის 1, პრაგიდან გამოვიდა. პელლეს ადგილი დაიკავა გენერალმა ლიტელ ჰაუზერმა.

მარშალ ფოშის მოხსენება.

პარასკევს, ჟორჟ ლეიგმა მიიღო მარშალი ფოში, რომელთანაც მას ქონდა საუბარი იმ მოხსენების შესახებ, რომელიც მიანდო მარშალს ელჩთა კონფერენციამ და რომელსაც უნდა გამოერკვია გერმანიის მდგომარეობა და მის მიერ ვერსალის ხელშეკრულების აუსრულებლობა ეს მოხსენება მარშალმა გუშინ კონფერენციის სეკრეტარიატს გადასცა.

პარიზი 31 12 ზავის შემდეგ დამდგარ მესამე წელს აქვს მეტად სერიოზული ხასიათი. აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი მუდმივი დაბრკოლებანი და აგრეთვე ინტერნაციონალური მდგომარეობა არავითარ სერიოზულ საფრთხის არ წარმოადგენს, ბოლშევიკური ჯარების არც მორალური და არც მატერიალური მხრით არ შეუძლიათ გადაიტანონ ბრძოლის ასპარეზი რუსეთის გარეშე და ცენტრალურ ევროპის მიმართულებით. გერმანიის მდგომარეობაც არ წარმოადგენს დიდ საფრთხეს.

თავდაცვითი ორგანიზაციების განიარაღებისათვის გერმანიას კიდევ მიეცემა უკანასკნელი ვადა. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ სპაის ხელშეკრულების პირობები ისევ ძალაში დარჩება. განიარაღების საკითხში საფრანგეთი მოქმედებს ინგლისთან, იტალიასთან და ბელგიასთან შეთანხმებით. ამ საკითხს ანაზღაურების საკითხთან არაფერი საერთო არა აქვს. ჩვენი მიზანი მიღწეული იქნება ანაზღაურების შესახებ გამოტანილ იმ გეგმის საშუალებით, რომელიც შემუშავებული იქნება მოკავშირეებთან ერთად. ეს გეგმა იქნება გონიერი. ამ მიმართულებით მუშაობდა სწორეთ ბრიუსელის კონფერენცია. ცენტრალურ ევროპის მდგომარეობა არ იძლევა საბაბს გამოიწვიოს ჩვენში შიში. ჩეხო სლოვაკიისა და სამხრეთ სლავიანების მთავრობის შორის დადებული ხელშეკრულება შეაჩერებს უნგრეთს, თუკი უკანასკნელი მოინდომებს დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას. მცირე აზიაში საბერძნეთის ჯარები განაგრძობენ მოკავშირეების მიერ წარდგენილ პირობების შესრულებას და წესრიგს დაცვას. ქემალისტებსა და ბოლშევიკების შორის შეთანხმება ვერ მოხდა. ერთი სიტყვით საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს მუდმივ ყურადღებას, მაგრამ არ არის სიმპტომები, რომელიც ჩვენში შიშს იწვევდეს. საყურადღებოა მხოლოდ მოკავშირეთა ერთსულოვნება ყოველ საკითხის გადაჭრაში, მაგალითად: განიარაღებისა, ანაზღაურებისა, საბჭოთა პროპაგანდისა და სხვა საკითხებში.

თანახმად ვერსალის ხელშეკრულებისა გერმანია ვალდებულია დაუბრუნოს საფრანგეთს მდინარის გემები.

რვა საათის სამუშაო დღე.

მიწათ მოქმედების სამინისტრომ განაცხადა სენატში: მთავრობას არას დროს არა ქონია განზრახვა განეხორციელებია რვა საათის სამუშაო დღე სამეურნეო დარგის სამუშევარშიო. მთავრობამ მიიღო ზომები დაისვას ეს საკითხი იმ შრომის კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იქნება ჟენევაში მომავალ აპრილში.

პილსუდსკის გამგზავრება საფრანგეთში

მარშალი პილსუდსკი საფრანგეთში 12 იანვარს მივა. ყველა მიმართულების პოლონური ჟურნალები კმაყოფილებას გამოსთქვამენ პოლონეთის მთავრობის მეთაურის პარიზში გამგზავრების გამო. ამ გამგზავრებას ისინი სთვლიან დიდ პოლიტიკურ აქტად და პოლონეთსა და საფრანგეთს შორის სამხედრო და ეკონომიურ კავშირის შეკვრის მაჩვენებლათ თავადი საპეგა, სამხედრო და ფინანსთა მინისტრი პილსუდსკისთან ერთად გაემგზავრა.

მდგომარეობა ავსტრიაში

ავსტრიის კანცლერმა მაიერმა და მომარაგების და ფინანსთა მინისტრმა ინახულეს საფრანგეთის საელჩო და ლეფერთან ხანგრძლივი საუბარი ქონდა. მათ აღნიშნეს ავსტრიის სერიოზული მდგომარეობა და ის საჭიროება, რომელიც მას მოელის.

ბოლგარეთში

„ტანმა“ გამოაქვეყნა ბოლგარეთის შინაგან საქმეთა მინისტრის დიმიტროვის განცხადება, რომელიც მან გააკეთა კომუნისტების საპასუხოდ. ჩიჩერინის ორ ნოტის შესახებ დიმიტროვმა განაცხადა, რომ მისი აზრით რუსეთის საბჭოთა მთავრობის განზრახვა სხვა სახელმწიფოებთან ერთად სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენისა არ არის ნაკარნახევი მხოლოდ ეკონომიური კრიზისის შემსუბუქების მიზნით, არამედ იგი არის ერთგვარი მოხერხებული მანევრი ბოლშევიკურ აგიტაციის გასაფართოებლად ხმარებული და რუსეთისათვის საჭირო მანქანებისა, ინსტრუქტორებისა და პროდუქტების მიწოდების მიზნით. ბოლგარეთი აწარმოებს სათანადო პოლიტიკას მანამ, სანამ რუსეთში არ აღსდგება წესიერება და დიდი სახელმწიფოები არ განაახლებენ მასთან დიპლომატიურსა და სავაჭრო დამოკიდებულებებს.

გენ. პელლე და ჩეხო-სლოვაკია

ჩეხო-სლოვაკიის ყველა მიმართულებების გაზეთები გენ. პელლეს წერილებს უძღვნიან. მასარიკმა გაუგზავნა მას წერილი, რომელშიაც იგი მადლობას უხდის საფრანგეთსა და მის მთელ ჯარის ქვეყნის სახელით იმ დახმარებისათვის, რომელიც აღმოუჩინა მან ჩეხო სლოვაკიას.

ინგლისის ახალი წარმომადგენელი პარიზში

პარიზში ახლად დანიშნულ ელჩის ლორდ გარდინგზე დაკისრებულ მოვალეობის შესამსუბუქებლად, ინგლისის მეფემ მილნ ჩეხმმა ინგლისის სრულ უფლებიან წარმომადგენლად დანიშნა პარიზში.

ფიუმეში

თანახმად რომიდან მოსული ცნობისა ფიუმეს ლეგიონერების ევაკუაცია დაიწყო.

გენერალ ნოლეს ნოტა

გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა გენ. ნოლეს ნოტა თავდაცვით ორგანიზაციების განიარაღების შესახებ. მემარცხენე გაზეთები ზოგიერთ შენიშვნებით იზიარებენ მოკავშირეთა თვალსაზრისს და მთელ პასუხისმგებლობას გერმანიის მთავრობას აკისრებენ.

რუსეთის ცნობები

საფრანგეთის ჟანდარმები

მოსკოვი 1 იანვარი. ფრანგ სოციალისტების ყრილობაზე გერმანელ კომუნისტების ბელადის კლარა ცეტკინის გამოსვლის შემდეგ, საფრანგეთის მთავრობა, ბოლშევიკებთან ბრძოლისათვის საჭირო ზომებს იმუშავებს. განზრახულია საფრანგეთის რევოლიუციონურ მოძრაობის გამოჩენილ ხელმძღვანელებს: მარსელისა, კაშენისა, ფროსარისა, დანიელისა და სხ. დატუსაღება. მაგრამ თვით ბურჟუაზიული გაზეთები ეჭვს გამოსთქვამენ, შესძლებს თუ არა მთავრობა გაუმკლავდეს კომუნისტების მომხრეთა რამოდენიმე მილიონს, რომლებიც მთელ საფრანგეთში არიან გაფანტული.

მოსკოვი 31 | 12. სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობა ამტკიცებს მშვიდობიან შრომაზე გადასვლას. ყრილობის გადაწყვეტილება ნიშნავს არა იმას, რომ ომის გათავებასთან ერთად წამსვე გაუმჯობესდება ცხოვრება, არამედ იმას, რომ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ სასტიკი და შეთანხმებული მუშაობა.

ახალი მექა.

ჩინეთის გაზეთები სწერენ: ძველად ხალხები ქრისტიანობას ისევე უყურებდენ, როგორც ჩვენ ბოლშევიკებს ვუყურებთ. პირველი ქრისტიანები ცდილობდენ ცხოვრებაში კომუნიზმის განხორციელებას. აღმოსავლეთის ხალხებისათვის მოსკოვი ახალ მექის ხასიათს იღებს. აქ მოგზაურები ეძებენ ლენინს, ისე როგორც ოდესღაც აქებდენ მაჰმადს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ვენაში მომხდარ უკანასკნელ გაფიცვის მეთაურები დაატუსაღეს.

განათლება.

სიმბირსკში პირველ იანვრის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა.

მძარცველები გარბიან.

საფრანგეთის მრეწველები და კომერსანტები სპარსელ რევოლიუციონერების გამარჯვების გამო სპარსეთიდან გარბიან.

საბჭოთა მთავრობა უნდა იცნონ.

საქართველოს მენშევიკური გაზეთები სწერენ, რომ ახლა ყველასათვის ცხადია, რომ შეუძლებელია რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევა. ერთად ერთი გზა ევროპისათვის არის საბჭოთა მთავრობის აღიარების გზა.

— ზამთარს რკინის გზის ტრანსპორტისათვის ახალი სიძნელე და საშიშროება მოაქვს. დადექით მტკიცეთ თქვენ ადგილებზე, რკინის გზელებო, სტიქიურ უბედურების დროს მთელი ქვეყანა დახმარებას აღმოგიჩენთ.

— ყრილობამ მიანდო ცეკას მისგან დამოკიდებულ ყოველგვარ ზომის მიღება სამხედრო ტყვეთა დასაბრუნებლად.

საქონელი საზღვარ გარეთიდან

ჰამბურგი. შვეციიდან მოვიდა 13 ვაგონი მანუფაქტურა, რომელიც პეტროგრადში იგზავნება.

რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში მყოფი სრულუფლებიანი წარმომადგენელთან არსებული ბეჭვდითი ბიუროს ბიულეტენიდან.

რუსეთი და ფინეთი.

მოსკოვი. (რადიო) რუსეთსა და ფინეთს შორის საზავო ხელშეკრულებათა გაცვლა-გამოცვლა მოხდა. ამიერიდან რუსეთსა და ფინეთს შორის აღდგენილია ნორმალური დამოკიდებულება.

ახალი მაშინა.

პეტერბურგი—28 (რადიო მოსკოვიდან). კრასნოგოროდსკის ქაღალდის ქარხანაში შემოღებულია ახალი ორთქლის მაშინა, რომელიც იძლევა სათბობი მასალისათვის 40 პროცენტს მომჭირნეობას.

აღმოსავლეთის ქალთა ყრილობა.

მოსკოვი. 31. (რადიო). ქალთა საქმის ც. კ. რ. კ. პ. განყოფილება მარტის 1-ს მოსკოვში იწვევს აღმოსავლეთის უპარტიო ქალთა ყრილობას. განიხილავენ შემდეგს საკითხებს: მომენტი, საბჭოთა ძალა უფლება, აღმოსავლეთის ქალები, აღმოსავლეთის ქალთა უფლებრივი მდგომარეობა წინედ და ეხლა, ბავშთა და დედათა მფარველობა, აღმოსავლეთის ქალთა განათლება, მიმდინარე საკითხები.

რუსეთ-ლატვიის უთანხმოება.

მოსკოვი. 31. (რადიო). მოსკოვში ჩამოვიდა ჩვენი წარმომადგენელი ლატვიაში ამხანაგი განეცკი. მან განაცხადა, რომ ანტანტის შთაგონებით ჩვენი და ლატვიის დამოკიდებულება რიგაში ჩემი ყოფნის დროს ყოველთვის მწვავე ხასიათის იყო. ლატვიის მთავრობა აშკარად არღვევდა რუსეთ ლატვიის ხელშეკრულებას. ის ეხმარებოდა თეთრგვარდიელებს, ციხეებში ალპობდა რუსეთში გამოსაგზავნ ხალხს, არ მოგვცა პასუხი ზოგიერთ დახვრეტილი მძევლების შესახებ, რომელთა დაბრუნებასაც ჩვენ ვთხოულობდით და არ უშვებდა სამშობლოში სამხედრო ტყვეებს. წარმოიშვა საკითხი,—რომ ჩვენი წარმომადგენელი გაგვეწვია ლატვიიდან და ამით ხალხს გაეგო სიმართლის მდგომარეობა. ამას შესახებ ეცნობა ლატვიის მთავრობას. ის დაიწყო შეეცვალა თავისი დამოკიდებულება ჩვენდამი შეეცვალა. ამაზე დიდი გავლენა იქონია ეკონომიური ცხოვრების კრიზისმა. მთავრობამ გაიგო, რომ რუსეთთან ეკონომიური კავშირის შეწყვეტით ლატვიას დაღუპვა მოელისო და თავისი პოლიტიკა შეიცვალა. ეხლა შესაძლებელია რუსეთ-ლატვიას შორის სავაჭრო დამოკიდებულების აღდგენა.

— —

მობილიზაცია ოსმალეთში.

სტამბოლი. იანვრის 1. ქემალ ფაშამ გამოაცხადა ყველა 46 წლიანების მობილიზაცია.

ეგვიპტის დამოუკიდებლობა.

ლონდონში ჩამოვიდენ ეგვიპტის ნაციონალისტები ლორდ მილნერთან ეგვიპტის დამოუკიდებლობის შესახებ მოსალაპარაკებლად, რომელსაც უკვე წარედგინა ნაციონალისტების მოთხოვნილებები. თუ წინააღმდეგობამ არ იჩინა თავი, მოკლე ხანში მოსალოდნელია ეგვიპტის დამოუკიდებლობის გამოცხადება („ბოსფორი“).

პროვინციაში.

— საგზაო საქმეთა განვითარება. გზათა მიმოსვლის დეპარტამენტთან გამართულმა განსაკუთრებულმა თათბირმა ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით, დეკემბრის 26, საგანგებო კომისიის მოხსენების შემდეგ დაადგინა: 1) იქნეს სასურველად ცნობილი, რომ ათი წლის განმავლობაში ყველა თემი გზატკეცილებით შეუერთდნენ სამაზრო ცენტრს, ხოლო სამაზრო ცენტრები რესპუბლიკის მთავარ ქალაქს. ამ პროგრამის ასრულება ევალება ერობებს მთავრობის მხრით დახმარების აღმოჩენით. 2) დაევალოს ყველა სამაზრო ერობებს 1921 წ. 1 მარტისათვის შედგენა და წარმოდგენა გზათა დეპარტამენტში ყოველწლიურ ასასრულებელი საგზაო გეგმისა. პროგრამას თან უნდა დაერთვას ქსელი ერობების გზებისა მაზრაში, რომელთა გაყვანა ან შეკეთება არის განზრახული პროგრამით (რუქა არა ნაკლებ 5 ვერ. 1 დიუმში მასშტაბისა).

— ნატურალური ბეგარის გატარება. 1) ნატურალური ბეგარა გატარდება ადგილობრივ ერობის გამგეობის მიერ თანახმად იმ სამუშაოთა სიისა, რომელიც შედგენილია თანახმად ზემოდ ნახსენებ პროგრამისა. სახაზინო გზატკეცილებზედ ნატურალური ბეგარა ტარდება იმავე წესით დისტანციის უფროსის მაზრის ერობასთან შეთანხმებით. 2) ყოველივე მუშაობა, ასასრულებელი ნატურალური წესით უნდა განისაზღვროს გაკვეთილებით დეკრეტში აღნიშნულ სამუშაო დღეების მიხედვით და თემები ვალდებულნი უნდა იქნენ აწარმოონ მუშაობა ამ გაკვეთილის დასრულებამდი. 3) როდესაც გზა აერთებს რამოდენიმე თემს, ნატურალური ბეგარით ასასრულებელი სამუშაო უნდა გატარდეს ამ თემების საერთო მუშაობით.

— 4. დამოკიდებულება ერობებისა გზათა დეპარტამენტთან: 1) საერთო ტეხნიკური ზედამხედველობა და საერთო ხელმძღვანელობა ერობების გზებზე მუშაობის წარმოებისა ევალება გზათა დეპარტამენტს გზატკეცილების სამმართველოს ინსპექციის სახით. 2) აღნიშნული ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა სრულდება საინსპექციო დათვალიერებით, რომელიც ხდება ყოველწლიურად სამუშაო პერიოდის დადგომამდე და აგრეთვე დრო გამოშვებით მუშაობის წარმოების დროსაც. 3) ტეხნიკური საკითხები რომლებიც ეხებიან შეკეთებას გზების ჩვეულებრივ და ხელოვნურ ნაშენთა საბოლოოდ სწყდება ადგილობრივ საინსპექციო დათვალიერების დროს. 4) პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვანი მნიშვნელოვან სამუშაოთა, როგორიცაა: გზატკეცილების მთლიანი, ძირითადი შეკეთება, ახალ გზატკეცილების გაყვანა და პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვანი ყველა ხიდებისა, რომელთა სიგრძე თხუთმეტ საჟენს აღემატება-ერობების გამგეობათა მიერ წინასწარ განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება გზათა დეპარტამენტს, რომელმაც მათი განხილვა უნდა მოახდინოს ორი კვირის განმავლობაში დღიდან მიღებისა. 5) სასურველად იქნეს ცნობილი დაწესდეს ზედამხედველობა სამეურნეო საქმეებში სახაზინო გზატკეცილების დისტანციების ტეხნიკურ შტატზედ სამაზრო ერობების გამგეობათა მხრივ და აგრეთვე გარკვეული ადმინისტრატიული ურთიერთობა მაზრის ერობის გამგეობის და დისტანციის ტეხნიკურ შტატის შორის.

განსაკუთრებულ ინსტრუქციის შემუ- [illegible] ტაციების სახელმძღვანელოდ დაევალოს გზათა დეპარტამენტს.

— სურამი. 28 დეკ. (საკ. კორ.) ქალაქის თვითმართველობის ინიციატივით სურამში დაარსდა რესპუბლიკის თავდაცვის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან პარტიებისა და სახელმწიფო და სხვა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

— სამტრედია. 30 დეკ. (საკ. კორ.) ქალაქის საავათმყოფოში ქირურგიული განყოფილება გაიხსნა. მიღებულია აგრეთვე ზომები მიკროსკოპიულ სადგურის გასაფართოებლად.

— ქალაქის საქმეები. ქალაქთა კავშირი სამხედრო უწყებასთან ერთად იღებს სასწრაფო ზომებს თბილისში სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათათვის საჭირო შეშის მოსატანათ ხეთის აგარაკიდან, სადაც 490 კუბ. საჟ. არის დამზადებული. სასწრაფოდ გაჰყავთ ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა. მუშაობის დაჩქარებისათვის საპიორები გაიგზავნენ.

— სექტანტების დეპეშა. მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი დეპეში მოვიდა: საქართველოს სექტანტების პირველი ყრილობა, შეუდგა რა სექტანტების სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების საკითხის განხილვას, მიესალმება რესპუბლიკის მთავრობას და გამოსთქვამს იმედს, რომ სინიდისის თავისუფლება, რომელსაც ასე უხეშად სთელავდა რუსეთის თვითმპყრობელობა, საქართველოს დემოკ. რესპუბლიკაში განხორციელებული იქნება, და რომ საკითხი სექტანტების სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ სასურველად გადაწყდება.

ბათომში.

(საკ. კორ.)

ბათომის ნავთსადგურში მდგომ რუსეთის გემების მიმღები რუსულ-ქართული კომისია მუშაობას შეუდგა.

— ბათომის სავაჭრო ნავთსადგურის საჭიროებისათვის ხუთი ვაგონი ტყიბულის ქვა-ნახშირი მოიტანეს.

— ბათომში მოვიდა ფოთის საზღვაოსნო სასწავლებლის ინსპექტორი ბათომში აღნიშნულ სკოლის გადატანის საკითხის გადასაწყვეტად.

— ბათომის ნავთსადგურში ინგლისელების დროს ჩაძირულ გემის „სინათლეს“ ამოსაღებად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.

— უკანასკნელ ხნის განმავლობაში ბათომის ბირჟაზე შენიშნულია უცხო ვალიუტის კურსის სწრაფი დაცემა. აგრეთვე ოსმალეთის ლირის კურსის ფასიც. ამასთანავე გაიზარდა მოთხოვნილება უცხოელების მხრით საქართველოს ნედლ მასალაზე ე. ი. ტყეზე, ქვანახშირზე და სხვაზე. (ს. დ. ა.)

ბიბლიოგრაფია.

ედუარდ ბერტრანი: „საფუტკრის მოვლა“ „მეფუტკრის კალენდარი“.
თარგმნილ-გამოცემული ლ. ცაგარელის მიერ. თბილისი, 1920 წ.

გასული წლის თებერვალს გამოვიდა ქართულ ენაზედ ედუარდ ბერტრანის წიგნი: „საფუტკრის მოვლა“, ან „მეფუტკრის კალენდარი“, თარგმნილი და გამოცემული ლადო ცაგარელის მიერ სამხედრო კავშირის დახმარებით. ამ თარგმანის გამოსვლა უნდა ჩაითვალოს ფრიად სასურველ მოვლენათ საზოგადოთ ქართულ საბუნებისმეტყველო და კერძოთ ქართულ მეფუტკრეობის ლიტერატურაში, რომელიც აქამდის ამოიწურებოდა ჯალიაშვილის ნაშრომით და აპ. წულაძის მიერ შედგენილ წიგნით. ამ მოკლე საბიბლიოგრაფიო წერილით მე მსურს ოდნავათ მაინც გავაცნო ედუარდ ბერტრანი და მისი „საფუტკრის მოვლა“, ან „მეფუტკრის კალენდარი“ მეფუტკრეობით დაინტერესებულ მკითხველ ქართველ მეურნე-მრეწველს.

ედუარდ ბერტრანი დაიბადა 1832 წ. ქ. ჟენევაში და იქვე აღიზარდა—19 წლისა გაემგზავრა საფრანგეთში და დაჰყო პარიზში 1873 წლამდე, სადაც ბოლოს იდგა ერთ წარჩინებული სავაჭრო ფირმის სათავეში. კომუნის ხანაში დაჩაგრული და დაავადებული ედუარდ ბერტრანი ანებებს თავს ვაჭრობას და უბრუნდება სამშობლოს, სადაც ჟენევის ტბის ნაპირას, ყიდულობს მამულს და მიჰყოფს ხელს მეფუტკრეობას. ათი წლის განმავლობაში ედუარდ ბერტრანი თავდადებულად სწავლობდა საფუძვლიანოდ და მეცნიერულად მეფუტკრეობას 1883 წელს მან გამოაქვეყნა მისი მეკადინეობის შედეგი—„მეფუტკრის კალენდარი“, ან „საფუტკრის მოვლა“ რამაც 1889 წელს აღტაცებაში მოიყვანა ინგლისის ჟურნალის რედაქტორი (ბრიტიშ ბეე—ჟურნალ) რომელმაც თავის აღფრთოვანება გამოხატა შემდეგი სიტყვებით:

„ბედნიერნი ვართ რომ შეძლება გვეძლევა ევროპის ერთ ყველაზე მოწინავე მეფუტკრის, შვეიცარიაში მცხოვრების, ამ სწორედ რომ თაფლით და რძით მორწყულ ქვეყანაში, სულ ახალი მეფუტკრეობის მქადაგებლის (პიონერის) სურათი დავუხატოთ ჩვენს მკითხველებს“ 21 წლის განმავლობაში, ე. ი. 1883 წლიდან დაწყებული 1904 [illegible]

ლა“, ან „მეფუტკრის კალენ ჯერ გამოვიდა შვეიცარიაში ენაზედ და სამჯერ რუსეთში ენაზედ. გადათარგმნილია ეს ბე ნის შესანიშნავი თხზულება ინგ იტალიურ, გერმანულ, ბულგარულ, ლანდიურ, ისპანიურ და სომხურ ზედ.

ქართულ ენაზედ ბერტრანის „სა ტკრის მოვლის“ გამოცემა ერთხელად დასწყვიტა თვით კავკასიის მეფუტკ თა საზოგადოებამ 1909 წელს პა ლად გამართულ მეფუტკრეობის გა ფენაზედ, მაგრამ ამ საზოგადოების რვილის განხორციელება წილად 11 წლის შემდეგ ბ. ლადო ცაგარე

წიგნის ტანი უდრის 16 გამ. 22 მეთ. კუბიურ სანტიმეტრს და გ ყოფება ორ დიდ ნაწილად; პირველ წილშია 142 გვერდი, მეორეში 50. რველ ნაწილში აწერილია ვრცლად თლად, ფრიად საინტერესოდ და მ ნიერულად თვეების მიხედვით, რ და როგორ უნდა გაკეთდეს საფუტკ ზე და თან მოყვანილია დამატყო ლებელი დაწვრილებითი ცნობები ფუ კის ცხოვრება—მუშაობაზე. მცენა ებზე, საფუტკრეებზე, და მის ადგილ მდებარეობაზე. მეორე ნაწილში აწე ლია სხვა და სხვა ჯიშის ფუტკა და გამოკვლეულია მათი შედარე თი ღირსებანი; განსაკუთრებული ყურა ღებით მოყვანილია აქ აგრეთვე ბი დედა, სახე და მუშა ფუტკარი ჯისა, მეფუტკრეობაში საჭირო ჭურ იარაღებისა და დადანის, დადაატისა ლაიანსის და ბურკი-იეკერი ბისა მათი მათემატიკურად გამოხა ნაკვთებით. წიგნი დაყოფილია დამო დებელ პატარ-პატარა თავებათ. ენა რგმანისა ნამდვილი ქართულია და ვილად გასაგები საქართველოს ყვე კუთხეებში სადაც ხმარებაში ქართუ ენა.

თარგმანში შეგხვდებათ სიტყვებ ჰაი, ჰაი, ჩირჩილა, ზუზულებაი აბრ ქართლური გამოსთქმის ქართული სი ვებისა, რომლებიც მაჩვენებელნია იმ რომ ბ. ლადო ცაგარელი შვილია საქ რთველოს შუა ალაგისა ქართლისა. ოდნავადაც არ აფერხებენ მეფუტკრ კალენდარის აზრსა;—თარგმანში აღ გენილია აგრეთვე მკვდრეთით მრავალ ქმონური (ტეხნიკური) ქართული სი ყვები, რომლებიც 117 წლის რუსე მონობამ დამარხა ქართული ერის მ ხმარებისაგან, ეს სიტყვები ბოლოშია მ ყვანილი და აქვს რუსული განმარტ რაც სამწუხარო მოვლენაა, რადგან ბ-ნი ლადო იძულებულია რუსულად ა სნას ქართული სიტყვები თარგმანში მ ინახება აგრეთვე ახლად შექმნილი ქართული სახეთ სახელები.

წიგნს დართული აქვს ბოლოში ბ. ლ დო ცაგარელის მიერ შედგენილი „მაჩ ვენებელი ანბანზე“. ეს დამატება ძრი ელ გაუადვილებს ქართველ მეფუტკრ ამ წიგნით სარგებლობას; ამასვე უწყ ბს ხელს წიგნის თავებათ დაყოფა: „ა ბანზე მაჩვენებელის“ შემწეობით მკითხველს შეუძლია სწრაფად მონახოს და გადიკითხოს ის თავი, რომელიც მას ესაჭიროება ამ წამში.

წიგნის ფასი გამოსვლისას იყო 80 ნეთი, მაგრამ ახლა ერთი ოთხადაც რო გადიდდეს, მაინც არ უნდა იყოს საგ ძნობელი მეფუტკრისათვის, თუ მივიღ ბთ მხედველობაში იმ უტყუარ სარგებ ლობას, რომელიც შეუძლია მოუტანოს ამ სახელ განთქმულ სახელმძღვანელოს როგორც დამწყებ მეფუტკრეს, აგრეთვე მეფუტკრეობაში წარმატების მაძიებელ მრეწველს.

დასასრულ ვთხოვ ყველა ქართულ გაზეთების რედაქციებს, რომელთათვისაც ძვირფასია მეცნიერული მეფუტკრეობის განვითარება ჩვენი სამშობლოს მეურნეობაში, გადაბეჭდონ ეს წერილი და მით ხელი შეუწყონ ლ. ცაგარელის მიერ თარგმნილ—გამოცემულ უკვდავ ედუარდ ბერტრანის სახელმძღვანელოს „საფუტკრის მოვლის“, ან „მეფუტკრის კალენდარის“ ცნობის გავრცელებას ხალხში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე კალანდარიშვილი.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში.

კომიტეტის შეერთებული სხდომა.

კვირას, 2 იანვარს დილის 11 საათზე დანიშნულია შეერთებული სხდომა ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტისა და პრეზიდიუმის საგულისხმო საკითხთა გადასაწყვეტად.

საფრანგეთის მისიის დახმარება.

საფრანგეთის სამხედრო მისიის თავმჯდომარემ გენ. კოლონელმა მხურვალე წერილით აცნობა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის თავმჯდომარეს ს. მ. ჟორჟოლიანს თავისი თანაგრძნობა ქართველ მხედრობისადმი. წერილთან ერთად ახლა მთავარ კომიტეტს სხვა და სხვა წამლები და თბილი ტანთსაცმელი ფრონტის საჭიროებისათვის.!

მიხედეთ მასწავლებელს!

არის მასწავლებელი, რომელსაც ოჯახში 4—5 და ხშირად 6—10 სულამდი

კოოპერატიული საზოგადოება
„კახეთი“

საზოგადოება „კახეთი“ არსებობს 1895 წლიდან და ამ ჟამად 246 მევენახე ითვლება წევრად. საზოგადოება „კახეთი“-ს წევრობა შეუძლიან ყველა კახელ მევენახე'ს და აგრეთვე ყველა მას, ვინც-კი ჩააბარებს საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს ყოველ წლივ.

მთავარი კანტორა საზოგადოება „კახეთისა“ მოთავსებულია თბილისში, დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5. ტელეფონი № 13—23, ხოლო სარდაფი გოგოლის ქუჩაზე № 63, საკუთარ შენობაში. ტელეგრაფით მისამართი: თბილისი კახეთი.

საზოგადოება „კახეთი“-ს მთავარი საწყობი კახეთში ორ ალაგას არის მოწყობილი: თელავში „კახეთი“-ს ბიურო ალექსანდრე მაყაშვილთან და კარდანახში, „კახეთი“-ს ბიურო ნიკოლოზ დარაშვილთან.

იანვარი
ძველი სტ. 22 დეკემბ.
მთვარე 26 დღისაა.
4
მზე ამოვის 7 ს.—30
ჩადის 4—37
სამშაბათი

წმ. დიდისა მოწამ. ანასტასიასი თეოდოსიასი, ევდო და ევტიხისნესი.

1 შემდეგი უქმე 7 და 8 იანვარი 361
ოპერა: დილით: „ევგენი ონეგინი“
საღამოთი: „ჰოფმანის ზღაპრები“
დრამა: „ანტიგონე“ მესამედ

— — კალენდრის გამომცემლობისაგან — —

იმ ფირმებს და სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებს, რომელთაც სურთ თავიანთი ფირმის განცხადება მოათავსონ კალენდარში უნდა მიმართონ „საქართველოს“ რედაქციას ან პირად ან ტელეფონით (15—73) გადმოსცენ თავისი ადრესი და აგენტი ეახლება.

იბაში მყოფი მასწავლებელი და ი თავი დააყენეთ მის ადგილზე. თა- როვე პირობებში მას შეუძლია ოჯროს, სასოწარკვეთილებას არ ცეს და თავის მოკვლამდის არ მი- დეს? ნამდვილათ მოგახსენოთ, რომ რთლა სიკვდილი სჯობია ამისთანა ოცხლეს. საწყალი მასწავლებელი ლობს თვეში 5—6 ათას მანეთს. ელ ერთ მოთხოვნილებას გაასწო- ს ამით? ერთი წყვილი წუღა ღირს —7 ათასი მან. მაშასადამე ის თავის ამაგირით ერთ წყვილ წუღას იყიდის ა ვის ჩააცმევს იგი? თვითონ? სხვას ალა ჰყოს? ტანფეხი, შეშა, სასმელ- მელი? ამას სული წმიდა გამოუგზავ- მასწავლებელი ღებულობს თვეში 150 კაპ. 2 მან. ეს იგი ერთი ის ქირას; ესეც სოციალისტურ ხა- ში, როდესაც მუშის საკითხი და ომის პრინციპი მთელი თავის სიდია- ით არის წამოჭრილი, და არავითარ ქსპლოატაციას და ყვლეფას ადგილი ა უნდა ჰქონდეს.

მასწავლებლებზე ბევრი იწერება, მა- რამ ყველა ესენი რჩება ხმად მღაღა- ებლისა უდაბნოსა შინა. აღარა ავვრჩენია რა იმის მეტი, რომ გამოვიდეთ „მათხოვრის“ როლში და სიტყვებით „მოგვხედეთ! განგვიკითხეთ!“ მივმართოთ მთავრობას, ეგება ამ სიტყვებმა მაინც მოალბოს მათი გული მართლა განგვიკითხონ, თორემ სულს ვღაფავთ!

თუ სთქვი რამე და სამართლიანათ დაილაპარაკე, ერთი ჯურის ხალხი მაშინვე გკიჟინებს. „ეგ საშობლოს—მთავრობის ღალატია.“ ისინი, რასაკვირველია, ამას, იტყვიან, რადგან მათთვის სხვა და სხვა „თბილი“ ადგილები მზათ არის და დღეს თუ ხვალ, უკეთესს იშოვნიან.

დროა მთავრობა მეტ ანგარიშს გაუწევდეს მასწავლებლობას, თორემ მოთმინების ფიალა აივსება და, ურემი რომ გადაბრუნდება, მერმე გზის ძებნა გვიან იქნება. ნება მაინც მოგვეცით, სამსახურს თავი დავანებოთ და, ვინც გნებავსთ, ჩვენს ადგილზე ის გაგზავნეთ. ბევრმა კარგმა მასწავლებელმა მიატოვა სამსახური და კიდევ ბევრი მიგიტოვებსთ სკოლას.

სანამ დროა, მოგვხედეთ, და დაგიფასეთ! ჩვენც ხომ ადამიანები ვართ.

მახანჩალა.

ჩვენი კორესპონდენტები

ქ. ზესტაფონი

კვირას, ქრისტეშობისთვის 19, ზესტაფონის სამეურნეო ბანკის შენობაში შესდგა იმერეთის სავაჭრო-სამრეწველო-სამეურნეო ბანკის (იმერ-ბანკის) აქციონერთა პირველი დამფუძნებელი კრება, რომელიც გახსნა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ო. გვალიამ. კრების თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ალ. ზ. წერეთელი და მდივნად კი ს. ალავიძე.

განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება, 2. 1921 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 3. ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების აქტივისა და პასივის მიღება. 4. არჩევნები საბჭოსი, გამგეობის და სარევიზიო კომისიის. 5. მიმდინარე კითხვები. კრებამ დღის წესრიგი უცვლელად მიიღო.

ბ. გვალია კომიტეტის სახელით მოახსენებს კრებას; „თუ ამ ჟამად, ამ ფულის ტრიალის დროს, გაძნელდა ასეთი პატარა ბანკის დაარსება, რა იქნებოდა ძველ, დუხჭირ დროს საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკის დაარსება, რომელსაც საძირკველი ჩაუყარა და მის არსებობას ხელი შეუწყო განსვენებულმა ვ. არდიშვილმა. ამ ბანკს გამოაკლდა ჯერ კიდევ ჯან-ღონით და ენერგიით აღსავსე ბუნებრივი ნიჭით აღჭურვილი და დაუღალავი მუშაკი ყოველ საზოგადო საქმეში განსვენებული ტ. ნიორაძე ინიციატორი ამ ბანკის დაარსებისა“. მომხსენებელი ამისთვის მოუწოდებს კრებას ფეხზე ადგომით პატივი სცენ ორთავე მოღვაწეთ რაიცა შეასრულა კრებამ.

ბ. გვალია განაგრძობს ქვევით- „ჩვენი ფულის კურსის საშინელი სისწრაფით დაცემამ ჩვენი ვაჭრობა მრეწველობა ჩააყენა სულ სხვა პირობებში. ამას გარდა მთელი ფული ჩაიკეტა სოფლელების ხელში. მთავრობამ როცა ეს კრიზისი ვერ გაანელა, მიჰყო ხელი ახალ ახალი ბონების მოჭრას. ზესტაფონის საურთიერთო-ს—პის ბანკი ვერ აკმაყოფილებდა ვაჭრების მოთხოვნილებას და ამისთვის საჭირო შეიქნა სხვა ბანკის დაარსება. ამ მიზნით შესდგა ვაჭართა მცირე ჯგუფი, რომელმაც აირჩია თვისი წრიდან საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგ პირთაგან: მ. გვალია, ტ. ნიორაძე, ზ. კოვზირიძე, კ. საყვარელიძე, პ. საყვარელიძე, მ. სიხარულიძე. ა. შალამბერიძე, ს. კვანტრიშვილი და მ. გაჩეჩილაძე. ეს კომიტეტი შეუდგა მუშაობას, გაიმართა აქციებზე წინასწარი ხელის მოწერა, შეადგინა წესდება და წარუდგინა დასამტკიცებლად ფინანსთა და ვაჭრობა—მრეწველობის მინისტრს, რომელმაც დაამტკიცა იგი ა. წ. ეკენისთვის 2 ს ამა წლის ენკენისთვის 5 ს შესდგა ზესტაფონის საურთიერთო ნდობის სა-ბის წევრთა არა ჩვეულებრივი კრება, რომელმაც გამოთქვა სურვილი ამ ბანკს საააქციონერო ბანკად გადაკეთებისა და დაადგინა: გადაეცეს იმერეთის სავაჭრო—სამრეწველო სამეურნეო ბანკს მთელი აქტივი და პასივი ამ საზოგადოების და წევრებს დაურიგდეს ამ ბანკის ლიკვიდაციის შემდეგ თავის ხვედრი ფული ამ ბანკის აქციის სახით.

ძირითადი საჭიროო თანხა ჩვენი ბანკისა განსაზღვრულია სამ მილიონი მანეთით, განაწილებულია 3000 აქციათ, თითო აქციის ღირებულება 1000 მან.

დღეს აქციონერთა რიცხვი უდრის 209, მათ ხელშია სულ 2410 აქცია, შემოტანილია 50 პროც. აქციების ღირებულების 1206500 მ. და საორგანიზაციო რაც უდრის სულ 128.550 მ., რომლიდანაც დახარჯულია 84.830 მ. რაც შეეხება დანარჩენ აქციებს თუმცა ბევრმა გადიხადა საორგანიზაციო ფული, მაგრამ 50 პროც. არ შემოიტანეს შემდეგ და ამის მოგვარება თქვენი საქმეა. შეკვეთილ აქციებს გარდა რაც დარჩა უნდა შეუნახოთ საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრებს, ამნაირად სამი მილიონი მან. აქციები უკვე გაყიდულია. ახალი ბანკი, რადგან მის ხელში გადადის აქტივი და პასივი, ბინა, საწყობი და ინვენტარი, ამისთვის 1921 ს წელ. იანვრის 1-მ ბანკი დაიწყებს ოპერაციების წარმოებას. ამასთანავე ს-ძვირის გამო საჭირო საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად დაწესდეს 50 მან. მაგიერ 100 მან. მომხსენებელი აუწყებს კრებას ცენტრო ბანკის თავმჯდომარის პ. გოთუას დახმარებას წესდების დამტკიცების დროს და სთხოვს გაეგზავნოს მას მადლობის დეპეშა.

შემდეგ კრება გადავიდა არჩევნებზე. საბჭოს წევრებად არჩეულია: კ. ა. საყვარელიძე, ი. მ. გოცაძე, მ. მ. სიხარულიძე, ს. პ. მამალაძე, ი. ს. ბებიაშვილი, ლ. ა. ნიორაძე, ა. შალამბერიძე, ს. კვანტრიშვილი, ზ. კოვზირიძე, ლ. მ. საყვარელიძე და მ. მ. გაჩეჩილაძე.

სარევიზიო კომისიაში პ. თ. კიკნაველიძე, ი. ი. ცერცვაძე, ს. ს. ალავიძე, ბ. გაჩეჩილაძე და მ. ჩუბინიძე.

ვინაიდან გამგეობის წევრების კანდიდატის სიას ადგენს საბჭო, კრება წყდება 10 წუთით. საბჭოს წევრები გადიან ცალკე ოთახში სათათბიროდ და ცხრას ორის წინ აღმდეგ მათ მოაქვს დადგენილება, რომლითაც ასახელებენ გამგეობის თავმჯდომარეთ მ. ო. გვალიას და დირექტორებად პლ. საყვარელიძეს და ე. კვინიკაძეს. უკანასკნელნი არჩეული იქნენ ერთხმად, ხოლო ბ. გვალიას უყარეს კენჭი და მიიღო 191 თეთრი და 27 შავი. ამ ნაირად არჩეულია თავმჯდომარეთ მ. ო. გვალია, რომელსაც მიეგებნენ ტაშით.

ჭ. გმელი.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში.

ს ი ა

შემოწირულ ნივთებისა და შემომწირველთა.

83. ადერბაიჯანის ემიგრანტებისაგან ფარის ბეგ ვექილოვის ხელით 10.000 მ.
84. ა. კ. ტაპილოვისაგან 1.000 მ.
85. ი. ა. ავაკოვისაგან 1.000 მ.
86. გივი ივანეს ძე ამილახვარისაგან 3.000 მ.
87. ნ. ე. გლახუნის ძე სიხარულიძისაგან 100.000 მ.
88. ექ. ქარცივაძის ხელით კოოპერატივ „ყაზბეგის“ მიერ შემოწირული 10.000 მ.
89. სპარსეთის ქვეშევრდომ მამედ ალიევისაგან 5.000 მ.
90. სპარს. ქვეშევრ. ალი ალა ალიევისაგან 5.000 მ.
91. სპარს. ქვეშევრ. მირზა აბაზ ალი რიზა ზადესაგან 2.000 მ.
92. სპარს. ქვეშევრ. ძმათა ჯალალოვებისაგან 5.000 მ.
93. ისმაილ ახუნდოვისაგან (საქართ. რესპუბ მოქ.) 10.000 მ.
94. ალესკერ და ალეპკერ ბაბაევისაგან 10.000 მ.
95. თამბაქოს ამხანაგობა მემკვიდრენი კ. ი. მესაკსუდისაგან 100.000 მ.
96. ფირმა ს. პივოვაროვისაგან 15.000 მ.
97. ივანე კაუხჩაშვილისაგან 5,000 მან.
98. დერციკი ავეტიკ ავაკოვისაგან 1.000 მ.

(შემდეგი იქნება).

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

სპ. კედიას სიტყვა.

დამფუძნებელ კრების სხდომა 14 დეკ.

(შემდეგი)

ამისთანა რწმუნებული, რა თქმა უნდა საქართველოს... (გობეჩია: ააშენებს!) ბაზინას ფლანგავს და ჰქურდავს. იგივე მომხსენებელი განაგრძობს: (კითხულობს:) „ბუხჰალტერიას რწმუნებულისას აწარმოებს გომის კავშირის ბუხჰალტერი, რომელიც ღებულობს თვეში 3000 მან. სამინისტროდან, თუმცა იგი შტატში არ არის“ ბუხჰალტერიაც ისე, როგორც რწმუნებული ერთსა და იმავე ის გომის კოოპერატიულ კავშირის ლენიც არიან და მთავრობისა. კიდევ ერთი გარემოება: (კითხულობს) ნებულს კოოპერატიული კავშირის ობის წევრს მოაქვს სამინისტროდან ყოველნაირი საქონელი, აწყობს კოოპერატივის საწყობში და უნაწილებს ჯერ თავის თავს გომის კოოპერატიულ კავშირს და მერმედ გომის ორ დაწესებულებას. განაწილებამდე დანაკლისი ბევრი ხდება. ყველა საქონელი ურიგდება ზემოაღნიშნულთ იმ ფასათ, რასაც სამინისტრო ადებს. თუ სამინისტროს გაყიდვა სურს, გომში რომ არ გაგზავნოს, სულ იოლად შეუძლიან მეტ ფასად გაასაღოს თბილისშივე, მაგრამ ამ საქონლის გადაგზავნას სულ სხვა დანიშნულება აქვს. სამინისტრო გზავნის მინიმუმ ფასად (სადაც უნდა იყოს) საქონელს სოფელში პირდაპირ ჰირნახულზე გადასაცვლელად... ამგვარად მთავრობა მათ აწვდის საქონელს, მაგრამ იგი სოფლამდე არ აღწევს სხვა და სხვა მახინაციების წყალობით. მთავრობა საქონელს გზავნის და არა კითხულობს სად მიდის ან ვინ ღებულობს. გარანტია იმისა, რომ ხალხს პირველ ხელიდან გადაეცემა, არ არის, რაც უკვე დავადასტურე ჩემი რევიზიით. ნაწილი გადაგზავნილი საქონლისა ჯადის. ვიღაცეების სასარგებლოდ; დანარჩენი ური- [illegible] სარგებლოთ ჰყიდიან ხალხზე? ეს გარემოება და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, იმას ამტკიცებს, რომ მომარაგების სამინისტროს ჰყავს ბოროტ-მოქმედი მოხელეები და რომ ეს ბოროტ-მოქმედება მინისტრს კარგათ მოეხსენება, ვინაიდან მას წარდგენილი აქვს ყველა ოქმი, რომელიც შეადგინა სახელმწიფო კონტროლის რევიზორმა, მაგრამ მომარაგების მინისტრი ამ ფაქტებს ის გამოეხმაურა და არავითარი ზომები არ მიუღია რომ ეს ბოროტ-მომქმედნი პასუხის გებაში მიეცა, ან სამსახურიდან მაინც დაეთხოვა. არის კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც ზემო ნათქვამს უნდა დაერთოს: როდესაც ბათუმის რწმუნებულს რევიზია დაუპირეს, შინაური რევიზია, მას ეს განზრახვა წინ და წინ შეატყობინეს. ეს რევიზია იძულებითი რევიზია იყო;—რადგანაც დიდი ყაყანი და მითქმა-მოთქმა ასტყდა საზოგადოებასა და პრესსაში მომარაგების სამინისტროს შესახებ, თავის თავად ცხადია, რომ სამინისტრო უნდა ცდილიყო როგორმე დაეცხრო ის სამართლიანი გულისწყრომა, რომელიც გამოითქმოდა საზოგადოებასა, თუ პრესაში, ამიტომაც მომარაგების სამინისტრომ განიზრახა ბათუმის რწმუნებულისათვის შინაური რევიზია მოეხდინა და საქმეს კიდევაც შეუდგა. აქ საინტერესოა ისაა რომ მომარაგების სამინისტრო რამდენიმე დღით, წინდაწინვე, აცნობა თავის მოხელეს, მივდივარ რევიზიის მოსახდენად და... (მაჰმადიანები: ფრთხილად იყავით!) კარგად დამახვედრეთ; ამ რევიზიას ვახდენ იმისათვის, რომ ბოლო მოეღო საგაზეთო მითქმა-მოთქმასო. [illegible] ხელის კეთილსინდისიერების გამორკვევით, რომელსაც საზოგადოების თვალში სრულიად გარკვეული ბრალი ედებოდა, იგი მას წინდაწინ არ გააფრთხილებდა. მაგრამ სამინისტრო, როგორც სჩანს, უფრო იმით იყო დაინტერესებული, რომ მოხელე მაინც და მაინც მართალი გამოსულიყო და ბოლო მოეღო საგაზეთო ჭლაპნისთვის. ამიტომაც ის აფრთხილებს ბათუმის რწმუნებულს და მას საშვალებას აძლევს, თუ რაიმე ურიგობა იქნებოდა წიგნებში თუ საწყობებში, ეს ურიგობა გამოესწორებინა.

ბატონებო, ეს რამდენიმე ფაქტი, რომელიც მე ავიღე მომარაგების სამინისტროს ცხოვრებიდან, მე მგონია, ნათლად ამტკიცებს ჯერ ერთი იმას, რომ მომ. მინისტრი სახელმწიფო კონტროლს არ სცნობს და რომ იგი არ ღებულობს სარევიზიოთ მოსულ კონტროლის მოხელეს.

თუ დასაშვები და მოსაწონია მომარაგების მინისტრის ასეთი მოქმედება, შეუთანხმებლად მას და მასთან ერთად ებრძოლეთ წესიერებას, კანონს, კონტროლს და შეინახეთ ბოროტმომქმედი მოხელენი.

თუ ეს მოქმედება დასაგმობია, თქვენ უნდა დაუპირდაპირდეთ მინისტრს და ნდობაზედ უარი უნდა უთხრათ, ვინაიდან თქვენ ხედავთ რომ მომარაგების სამინისტრო ბოროტმომქმედ მოხელეებს სამსახურში ინახავს.

თუ მომარაგების მინისტრის ასეთი მოღვაწეობა დასაშვებია და მისი ლიბი მაშინ, რა თქმა უნდა, მოსაწონი იქნება ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარის მიერ მომარაგების მინისტრის დატოვება თავის პოსტზე. თუ პირიქით, ეს დასაგმობია, მაშინ დასაწუნია ისიც რომ მინისტრი და მისი ბოროტ მოქმედი მოხელენი ყველანი თავიანთ ადგილზე დასტოვა მაგრამ რამდენათ ჩვენ ვებრძვით ყოველნაირ თვითნებობას, რამდენადაც მომხრენი ვართ იმისა რომ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კანონი არავისაგან და მით უმეტეს მინისტრისაგან არ ილახებოდეს, რამდენადაც მომხრენი ვართ, რომ ყველა ბოროტ მოქმედი სამსახურიდან დათხოვნილი და პასუხისგებაში მიცემული იყვნენ, რამდენათაც ჩვენ მომხრენი ვართ, რომ სამინისტროში იყოს წესრიგი და ადგილი არ ჰქონდეს უწესობას და არევ-დარევას,—იმდენათ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვიწონოთ არც მომარაგების სამინისტრო და არც მისი მინისტრის მოქმედება, მეტიც, არც მთავრობის თავმჯდომარის მოქმედება; ორში ერთია: ან მთავრობის თავმჯდომარემ არ იცოდა ის ბოროტ მოქმედებები, რომელიც მოხდა მომარაგების სამინისტროში, და რომელიც კონკრეტულად იყო მოყვანილი პრესსაში და ამიტომაც დასტოვა ბატონი მინისტრიც თავის ადგილს. ან იცოდა, მაგრამ მაინც დასტოვა! მე მინდა ვიფიქრო, რომ მთავრობის თავმჯდომარემ ეს არ იცოდა, მაგრამ აქვე უნდა დავსძინო, რომ ყოველივე ეს გამოტანილი იყო საჯაროვნოზედ, დაბეჭდილი გაზეთებში და სხვათა შორის „ახალ სხივშიაც“, რომელიც სოციალ დემოკრატიული ფრაქციის საუკეთესო ნაწილის წარმომადგენელთა ორგანოა და მწუხარებით უნდა აღვნიშნო, თუ მთავრობის თავმჯდომარე მეტის მეტი საქმიანობით პრესსას ვერ ათვალიერებს! ბოროტ მოქმედების ფაქტები თქვენს ფრაქციაში იქნებოდა დასმული და განხილული. და თუ მინისტრი და მისი მოხელენი მაინც თავიანთ ადგილზე რჩებიან, მე უნდა ვთქვა ხმა მაღლა, რომ ჩვენში არც მართლმსაჯულებას, არც ბოროტ მოქმედების ალაგმვას, არც წესიერებას, და არც პასუხისმგებლობის გრძნობას მეგობარი არ ჰყოლია, არც იმ წრეში, რომელიც მოვალე არის თანამდებობით კანონი და წესიერება დაიცვას და არც იმ წრეებში, რომელნიც წესიერებას კანონმდებლობენ! ჩვენში ხდება მმართველთა ფიზიკური ძალის დემონსტრაცია. დამფუძნებელი კრებაც, რომელიც უნდა იყოს მიუდგომელი მსაჯველი მთავრობის მოქმედების, მისი უმრავლესობის სახით მთავრობას ჰყმობს და იგი ერთნაირ ფიზიკურ ზედმოქმედებას ახდენს უმცირესობაზე და ამ ფიზიკურ ძლევაში იხშობა ხმა სამართალისა, ხმა პოლიტიკური თავისუფლებისა და მოქალაქის სინიდისისა! ასეთ პირობებში არის თუ არა დაჩრდილული სამართლიანობა, პოლიტიკური პატიოსნება, მოვალეობის გრძნობა და დაზიანებული ხაზინის ინტერესი?! დიახ,—არის და ეს თქვენი სისტემა გახლავთ. ეს სისტემა ხრწნის სახელმწიფოს სიმტკიცეს. ვიდრე თუნდაც ერთი ფაქტი—კახელაძის საქმე,—დაურღვეველი დარჩება და ვიდრე თუნდაც მარტო კახელაძეს ზურგს გაუმაგრებს მომარაგების მინისტრი და მასთან ერთად მთელი მთავრობა, ჩვენ უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ ოფიციალურ წრეებში ბოროტ მოქმედება არ იდევნება, რომ პირიქით მას იწყნარებენ! მე ვიცი, თქვენ ამ ბრალდების და ამგვარ აზროვნებას ჩაცინებით და ღიმილით შეხედავთ, თქვენ მას ისე წვრილად დაახურდავებთ, რომ ბევრ პატიოსან მოხელე [illegible] თი—ორი კაცის ბოროტმოქმედება რა ისეთი დიდი საქმეაო! ამას თქვენ გაიბათილებთ მომარაგების მინისტრის შექებით: ერაძე დიდი მუშაა, დაუღალავი რომ იგი დიქტატორია და რომ მომარაგების საქმეში სწორედ დიქტატორია საჭირო, რომ ის ბებელია და სხვა! და ამავე დროს უსისტემობა და ბოროტმოქმედება, რომელიც მის სამინისტროშია, ძირს უთხრის ჩვენ რესპუბლიკას. (ჯუღელი: რეპლიკა არ ისმის).

მე არ მინდა, კამათმა აქ მიიღოს პარტიული ან პოლიტიკური ხასიათი, მე ვლაპარაკობ როგორც მოქალაქე, როგორც დამფ. კრების წევრი, რომელიც იცავს კანონიერებას, წესიერებას და ებრძვის ბოროტმოქმედებას და გეკითხებით, თქვენ ხართ თუ არა მომხრე კანონიერებისა და წესიერებისა, ებრძვით თუ არა ბოროტმოქმედებას და იცით თუ არა რომ კახელაძე ბოროტმომქმედია და რომ ეს ბოროტმომქმედი დღეს თავის ადგილზე ზის და რომ მას მფარველობენ და იცავენ (ჯუღელი არა!) და ეს არის თუ არა ბოროტმოქმედება სახელმწიფოს ინტერესის მიმართ? (ჯუღელი: არის—შეიძლება!) მეტი არაფერი მინდა... მე ვუცდი კახელაძე—შანშიაშვილის მოქმედებათა კვალიფიკაციის დამფ. კრების მიერ და იმ სანქციას, რომელსაც იგი მიიღებს, ამ მოხელეების გამო, პასუხისმგებელი მთავრობის მიმართ. (მგელაძე: და თუ მართალი არის ისიც, რაც შენგელაიამ სთქვა, რომ მთელი მთავრობა ყაჩაღები და მძარცველები არიანო, მაშინ მეც უნდა წავიდე აქედან!).

თავმჯდომარე: გთხოვთ სიჩუმე დაიცვათ, ბატონებო.

(დასასრული იქნება).

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჰოლოშვილისა
№ 3208.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეზხაპუნებით. ჰიით ცხვრის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის“ მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტექნიაზე“ (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის,
მიხეილ მედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (636—914 შეზხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

დოქტორი
გ. გ. მებრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტროწამლობის კაბინეთში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 3314

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება,
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასია ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ექიმი
ა. ე. ლევანშტეინი.
იღებს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჰრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12-46.
მიღება 11-12 და 4-7 საათამდე.

თვალების ავადმყოფების
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფებ მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; ს ღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეზხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3305 თვ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეზხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228